ანაყოში ხარ და უარყავ წარსული? –
მომავალი არაფრით არ გექნება!



საქართველოს პარლამენტი

მსჯავრები



რა ინფორმაცია მიაწოდეს წყაროებს ამჟამად არეშიძეს

აკრიტიკა, რითიც გამაფრდა ეჭვი, რომ პრემიერსა და ვიცეპრემიერს დაძაბული ურთიერთობა აქვთ. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ინფრასტრუქტურის მინისტრმა, შავლიაშვილმა, რომელიც პრემიერის კადრად ითვლებოდა, პოსტი დატოვა. ამბობენ, რომ სპორტის მინისტრიც დაგვემშვიდობება...

— მინისტრებს, რა თქმა უნდა, გადააყენებენ, რადგან ბევრმა ვერ გაამართლა.
— კერძოდ, ვინ ვერ გაამართლა?
— გვარებს ნუ ჩამომათვლევინებთ...

რაც შეეხება ღარიბაშვილსა და კალაძეს შორის არსებულ დაპირისპირებას, ვიცი, რომ კალაძის მოადგილემ, ტარიფის გაძვირებასთან დაკავშირებით, შენიშვნა მიიღო. ისინი, როცა ხელისუფლებაში მოდიოდნენ, ხალხს სხვა რამეს, ანუ დენისა და გაზის ტარიფის გაიფხვინებდა და პირდაპირ ვერ წარმოადგენდა, პრემიერს რამხელა ძალისხმევა დასჭირდა, რომ ბენზინი გაიაფებულყო. ნარმანიაც ირცყამდა მკერდზე მჯილს, „სითი პარკს“ გაუფხვინებდა, მაგრამ შეპირება ვერ შეასრულა და საქმე იქამდე მივიდა, რომ გამწარებული ხალხი „სითი პარკის“ თანამშრომლებს ქუჩაში უსწორდებოდა — სცემს. ეს ნორმალური მდგომარეობაა? რაც უნდა კაბალური ხელშეკრულება არსებობდეს, არ მჯერა, რომ „სითი პარკთან“ მოლაპარაკების წარმოება არ შეიძლება.

მოკლედ, ყველაფერს ისეთი ხალხი სჭირდება, ვისაც პასუხისმგებლობის გრძობა აქვს და თუ საჭირო გახდება, მაგისტრატურის დარტყმაც უნდა შეეძლოს, თუმცა ხელისუფლებაში სწორედ ასეთი პრინციპული ხალხის დეფიციტია.

— ბატონო მამუკა, მოდი, განმარტებულ მკვლევარებსაც შეეხებოთ: ვაზაგაშვილის საქმე თითქოს გაიხსნა, მაგრამ დამკვეთის ვინაობა დღემდე ვერ გავიგეთ, ასეთივე მდგომარეობა ხარძიანის საქმეშიც... რა ხდება?

— აბსოლუტურად ლეგიტიმური შეკითხვაა, მაგრამ მოდი, მსოფლიო პრაქტიკას გადავხედოთ: კენედის მკვლელობიდან ამდღის წელი გავიდა, მაგრამ შემკვეთი ვერ დაადგინეს. საერთოდ, შეკვეთის საქმეების გახსნა ძალიან რთულია. პირველი პროფესიით ჟურნალისტი ვარ და გარკვეული წყაროებიც მაყავს, რომლებიც მანვინან ინფორმაციას. ამ ინფორმაციის საფუძველზე ვიცი, რომ ბესიკ ხარძიანის მკვლელობაში ბევრად მეტი კვალია დატოვებული, ვიდრე — ვაზაგაშვილის. სოსანაშვილი დამკვეთს არ ასახელებს, გამოძიება სხვა მიმართულებით მიჰყავს და იური ვაზაგაშვილთან დაკავშირებით სასიკვარო ისტორიებს იგონებს. მეორე შემთხვევაში, დამკვეთის ფიგურა უფრო მკვეთრად გამოჩნდა, ვიდრე — შემსრულებლის, ანუ ყველა კვალი უდგინა ნისკენ მიდის და ორივე საქმეში მისი ფიგურა იკვეთება. უკვე ისიც გავიგეთ, რომ უდგინა სოსანაშვილის შვილის ნათლია.

— რა ამის პასუხია და, თქვენი ინფორმაციით, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები იქნება?

— ვადამდელი არჩევნებისთვის მზად არავინაა: არც მმართველი ძალა და არც — ოპოზიცია. ამ ეტაპზე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება ერთ მხარესაც არ აწყობს. „ქართულმა ოცნებამ“ დაპირებების შესრულება ახლახან დაიწყო — პოზიტიურად ვაფასებ პროექტს „ანარმოდ საქართველოში“. ასევე, არ შემიძლია, დადებითად არ შევფასო სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ კახეთში ჩატარებული პრესტური... ვატყობ, „ნაცმოძრაობის“ რიტორიკაშიც, დაპირებული 100 სანარმოდ გახსნაზე ირონია გაქრა, რადგან მხოლოდ კახეთში 42 ახალი სანარმოა... ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, ჯობია, ხალხს მიხედონ და პრობლემები შეუმსუბუქონ, განსაკუთრებით, — რეგიონებში.

ესაუბრა ნათია ლეპანიძე

„მინისტრებს, რა თქმა უნდა, გადააყენებენ!“

ბოლო დღეებში გურჯაანის რაიონი დაძაბულობისა და შეხლა-შემოსლის ეპიცენტრად იქცა, რისი მიზეზიც „ნაცმოძრაობის“ მიერ ე.წ. ანტიკორუფციული კომისიის შექმნა გახდა. რატომღაც კახეთი თანამედროვე ქართული პოლიტიკის „მთავარი ტატამი“ და რატომ არ ცხრება ვნებათაღელვა დეპუტატ გიორგი ღვინიაშვილის მიმართ? — „ქართული სიტყვა“ ექსპერტ მამუკა არეშიძეს ესაუბრა.

— 2012 წლიდან მოყოლებული, კახეთი პოლიტიკური ბრძოლების ეპიცენტრია: ჯერ იყო და, კულტურის მინისტრის ამჟამინდელმა მოადგილემ, მანანა ბერიკაშვილმა გიორგი ღვინიაშვილს ბარბარე რაფალიანცის მკვლელობა დააბრალა. ახლა კი, ყოფილ გუბერნატორს კევრცხებით გაუმაჰსპინძლდნენ. ასეთი ტიპის დაპირისპირება, ბატონო მამუკა, როგორ ფიქრობთ, რომელი მხარის ინტერესშია?

— არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ცხადია, დაძაბულობა მოიმატებს. ღვინიაშვილის ფიგურის ირგვლივ კი, სულ არეულობაა — ეს კაცი აქტიურობს.

— ანუ, არეულობა ღვინიაშვილს აწყობს?

— რა თქმა უნდა. ობიექტურად რომ შევფასოთ, ასეთი ამბები ჩამოყალიბებული პოლიტიკური კულტურის ქვეყნებში ხდება, სადაც დიქტატურა არაა. საქართველო სწორედ ასეთი ქვეყანაა, პოლიტიკური ძალებიც ყურადღების მიქცევასა და შესაბამისი ფონის შექმნას ასეთი ექსცესებით ცდილობენ. გარდაბნის რაიონის საკრებულოს წევრი ვარ. ასევე, ნეკრია ცნობილი კორუპციული ადამიანი, გვარად ფიქრიშვილი „ნაცმოძრაობიდან“, რომელიც დღეს „ქართულ ოცნებასთან“ კოპაბიტაციის რეჟიმშია. ის, რაც გარდაბნის რაიონში ხდება, მოსახლეობისთვის იმედის ჩაკვლაა, ანუ იგივე ხდება, სხვა რაიონებში.

— გასაგებია, რომ არეულობა ხელს „ნაციონალებს“ აძლევთ, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ რა ინტერესი აქვს, რომ რეპუტაციაშელახლ ხალხს გვერდით იყენებს?

— ეს კითხვათა კითხვაა, რომელიც თქვენს მსგავსად, მუდმივად მან უხებს, მაგრამ პასუხს ვერ ვიღებ, ან მორიდებულად მეუბნებიან, ჩვენთან ითანამშრომლეს, დაგვემარნენო. ადამიანი, რომელიც პატრონს ერთხელ უღალატებს, იგივეს მეორედაც გაიმეორებს. ამიტომ, ასეთი მედროვეების არ მჯერა. როცა გვერდით კომპრომეტირებული იყენებ, ამით პატივს იმ ადამიანებს არ სცემ, რომლებმაც ხმა მოგცეს, ქარსა თუ წვიმაში გარეთ იდგნენ და შენს გამო ათასგვარ დამცირებას იტანდნენ.

— აქამდე ყველაფერი ბრალს ზვიად ჯანყარაშვილს სდებდნენ. მართალია, ხელისუფლებას ჩამოსცილდა, მაგრამ „ნაციონ-

ალები“ ისევ ჯანყარაშვილ-თამაზაშვილის კლანზე საუბრობენ...

— ჯანყარაშვილმა თავისი ახლობლები დაანინაურა, რომლებიც, სულ მცირე, საეჭვო რეპუტაციისანი იყვნენ, თუმცა მეორე ვარიანტიცაა: ჯანყარაშვილს ბრალი შესაძლოა, იმაში დასდეს, რაც არ ჩაუდენია.

— თქვენი ინფორმაციით, კახეთში ნეპოტიზმი და კორუფცია მართლა ყვავის?

— ყველა რაიონში ხდება და გურჯაანი, გამონაკლისი ვითომ, რატომ იქნება?! იცით, საქმე რაშია? — ახლა სხვა პარტიის წარმომადგენელი რომ გამოვიდეს, რომელსაც საეჭვო რეპუტაცია არ აქვს და მორალის კითხვა დამინყოს, მოვუსმენ, მაგრამ სხვა საკითხია, მის დარიგებას მივიღებ თუ არა, მაგრამ როცა ნეპოტიზმსა და კორუფციაზე „ნაცმოძრაობის“ წევრები ლაპარაკობენ, ნუთუ, არ რცხვნიან — კორუფცია და ნეპოტიზმი ხომ მათი გამოგონილია?! კორუფციის ფაქტები თბილისის მერიაში გამოვლინდა, მანამდე — ტელევიზიაში, სადაც ადრე ვმუშაობდი: იქ უამრავი ადამიანი იყო გაფორმებული, რომელიც ხელფასს იღებდა და სამსახურში არ დადიოდა. მეც, ტელევიზიიდან ბევრი ასეთი „მკვდარი სული“ გაუშვეს. ასეთ რაღაცებს ადგილი ცალკეულ უწყებებში ახლაც რომ აქვს, არ გამოვიცხავ...

— გავრცელებული ინფორმაციით, შევიცარიის ელჩი უკმაყოფილოა, რომ საქართველოში ბიზნესი წინსვლის ქვეშაა და კორუფციის ფაქტებმა იმატა. ამის გამო პრემიერმა ღარიბაშვილმა გადაწყვიტა, დიპლომატის პრეტენზიები პირადად მოესმინა და მასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა. როგორც ჩანს, კორუფციის თემა შიდა დაპირისპირების ფარგლებს გასცდა, არა?

— შევიცარიის ელჩმა ეს პრეტენზია ერთი კვირის წინ გამოთქვა და ვფიქრობ, ირაკლი ღარიბაშვილს აქამდეც შეეძლო, ამ თემისთვის მიეხედა. კორუფციაში პრემიერს პირადად ბრალს არავინ სდებს — ამის შესახებ რომც მითხრან, არ დავიჯერებ, რადგან ეს კაცი სხვანაირად მოწყობილია, თუმცა ნეპოტიზმზე საუბარი მისი მხრიდანაც იყო.

— შევიცარიის ელჩის ნათქვამი რეალობა გგონია?

— მართალია, იმას, რაც „ნაციონალების“ დროს ხდებოდა, ადგილი აღარ აქვს, მა-

გრამ კონკრეტული ბიზნესის მიმართ რეიდული სვლები კეთდება, ან რაღაც ჯგუფი მუშაობს და ცდილობს, ის პროექტები ჩააგდოს, რომელიც პრემიერ-მინისტრის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ არაა. ავიღოთ გახმაურებული ფაქტი თბილისში ე.წ. ავტობუსების მშენებლობასთან დაკავშირებით, ამ პროექტის პრეტენზია ჯერ კიდევ მარშან გაიმართა, ანუ საუბარი ავტობუსების ქარხნის აშენებაზე იყო, რომელიც მთელ შუაზიურ რეგიონს მოემსახურება. ინვესტიცია 70 მილიონი დოლარია, 5 000 ადამიანი უნდა დასაქმდეს და იმის გამო, რომ ვიღაცას თავისი ბიზნესის ჩაგდება არ უნდა, ანუ მეორადი ავტობუსები ჩამოიტანოს და იეშმაკოს, ეს პროექტი წინ ვერ მიდის. ამის გამო ჩინეთის საელჩო და ის ბიზნესმენები, რომლებიც ამ პროექტში ფულს დებენ, რასაკვირველია, გაოგნებული არიან, მაგრამ მოთმინება აღმოაჩნდათ და ჟინიც, რომ ამ საქმეს თავი არ დაანებონ. იმისთვის, რომ ქართული ინდუსტრიის ევრო პატივს უჯეროდ შეიქმნას და 5 000 ადამიანი დასაქმდეს, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები თავს არ იტკიებენ!

— ესე იგი, არსებობს ეჭვი, რომ ავტობუსების ქარხნის აშენებას ხელს უშაღლესი თანამდებობის პირები უშლიან?

— მაღალი თანამდებობის პირები რომ იყვნენ ჩარეულები, მაშინ ეს პროექტი დაიხურებოდა, მაგრამ არც ხურავენ და არც წინ მიდის. ვერც მეორადი ავტობუსები ჩამოჰყავთ.

ავიღოთ მეორე სამარცხვინო ვარიანტი: 7 თუ 8 ობიექტზე ტენდერი ჩატარდა, გამარჯვებულიც გამოვლინდა, მაგრამ ყველაფერი ამით დამთავრდა. მექმნება შთაბეჭდილება, რომ ორგანიზებული ჯგუფი მუშაობს, რომელიც ტენდერებს აფუჭებს — არ უნდა, სამუშაო ადგილები შეიქმნას, რათა მმართველ ძალას სალაპარაკო არ ჰქონდეს. ხელისუფლება იმდენად უშნო აღმოჩნდა, რომ ამ საკითხში არ ერევა. სხვანაირად როგორ შეიძლება, არსებული ვითარება ახსნა?

— ამ საკითხის მოგვარება ეკონომიკის სამინისტროს ხელენიჭება?

— დიას, ეკონომიკის სამინისტროს ეხება — ეკონომიკური პოლიტიკის წარმართა მინისტრის ვალდებულებაა, მაგრამ იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ ან, სულაც, საკუთარ ინტერესებს ემსახურებიან, საბოტაჟია! ჩინოვნიკებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ქრთამი არ აიღონ, მაგრამ არაფერს აკეთებენ — სხედან კაბინეტებში, მაღალ ანაზღაურებას იღებენ, რასაც პრემიაც ემატება. ასეთი ტიპის ადამიანებს პასუხისმგებლობის აღების ეშინიათ. ხელისუფლებას კი იმიტომ ვაკრიტიკებ, რომ ისეთი სისტემა ვერ შექმნა, რომელიც ხარვეზების გარეშე იმუშავებს.

— ბატონო მამუკა, ირაკლი ღარიბაშვილმა კახი კალაძის მოადგილე საჯაროდ გა-

„ადამიანი, რომელიც პატრონს ერთხელ უღალატებს, იგივეს მეორედაც გაიმეორებს. ამიტომ, ასეთი მედროვეების არ მჯერა. როცა გვერდით კომპრომეტირებული იყენებ, ამით პატივს იმ ადამიანებს არ სცემ, რომლებმაც ხმა მოგცეს, ქარსა თუ წვიმაში გარეთ იდგნენ და შენს გამო ათასგვარ დამცირებას იტანდნენ.“

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“



საქართველოს პარლამენტი

თაობა

არჩევნების დღეს ურნასთან მდგარი და ჩვენს გადამწყვეტილებაში დარწმუნებული, შემდეგ კი, იმედგაცრუებული, ნიჰილისტურად და აგრესიულად განწყობილი, დაუსრულებლად ველით კიდევ ერთ შანსს, რომელიც ყველაფერს შეცვლის... „გვეშველება რამე?!“ – ეს თანამედროვე საქართველოს თანამდევნი რიტორიკული შეკითხვაა. კიდევ ერთი ტრადიციული გამოწვევაში კი ასეთია: „ჩვენ გარდა ყველას ეშველა“ ამ ფრაზას ისევე სხვისი მისამართით ბრალდებები, რადიკალიზმი, აგრესია და ზიზღი მოჰყვება. იმის გაცნობიერება, რომ ჩვენი ქვეყანა ჩვენვე ვართ, ისევე შორეული პერსპექტივაა... ვერ ვაგონებთ, რომ სახელმწიფო არაა მამა-მარჩენალი და, მესიის მოლოდინში ნამოკტირიალებული, ვეიშვიშებთ: „გვეშველება?!“ რას ფიქრობენ ქვეყნის მომავალზე ახალგაზრდები? – ამის გარკვევას „ქართული სიტყვა“ თსუ-ს პოლიტიკური მეცნიერების სტუდენტებთან შეეცადა... შეკითხვაზე, თუ როგორია იდეალური სახელმწიფოს მოდელი, მეორეკურსელი ზურა ბამბინაძე ასე პასუხობს:



როგორ აფასებენ პოლიტიკურ პროცესებს და რაში ხელახლა გამოსავალს სტუდენტები

„9 წელში საფუძვლი ჩავუყარეთ სახელმწიფოს, მაგრამ პოლიტიკურს, დანაშაულებრივს, ფასადურს. მაშინდელ ხელისუფლებას ჰქონდა ნდობა უცხოეთიდან, მაგრამ ყველაფერი ეს, თავისივე იმპულსური ძაბვებით, გააძლიერა. რაც ყველაზე ცუდია, ამ ხალხმა თავის თავზე მოიგროვო ძველი მითაბარი ღირსება – კონსტიტუცია. ამ პერიოდში მივხვდებით ევროპას, თუმცა თითქმის ყველა ევროპული ღირსება დაბნეული ფორმით ინტეგრირდა“.

„გვეშველება რამე?!“

გადათვლით არ მიიღწეოდა. ასე რომ, მჯერა, ჩვენი გამოსწორება ვილაცას შეუძლია. – ვილაცამ უნდა გამოგვასწოროს თუ ერთობლივი ძალისხმევით უნდა გამოვსწორდეთ? – ვილაცამ, მაგრამ ვილაცაში არც ივანიშვილის ვგულისხმობ, არც – სააკაშვილს და არც – რომელიმე პოლიტიკურ ლიდერს. – საქართველოში ეკლესია და სახელმწიფო გამიჯნულია? – გარკვეულწილად, კი, თუმცა საერო საკითხებში ეკლესიის გავლენა იგრძნობა. ჩემი აზრით, პრობლემა ადამი და მამა-პაპისეულ გამოცდილებაზე ბრმა მინდობაა. სეკულარიზაცია მხოლოდ დეკლარირებულია. – ყოველდღიურ ცხოვრებაში პროცესობული კურსი იგრძნობა? – მთავრობის მხრიდან ვერ ვგრძნობ, საზოგადოების მხრიდან, – მით უმეტეს, თუმცა არ მინდა, ძალიან კრიტიკული ვიყო. – მომავალი არჩევნები რამეს შეცვლის? – ევროპისკენ გზას ნამდვილად ვერ გავგვიკვალავს, თუმცა შესაძლოა, შეცვალოს. – ჩვენი ქვეყნის განვითარებას ყველაზე მეტად რა ნაადგება? – ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის აუცილებელია ძირეული ცვლილებები ხალხის მენტალობასა და გულში. ვიდრე საზოგადოება არ მიხვდება, რომ მუშაობა ერთადაა საჭირო და არა – ერთმანეთის ხარჯზე, სულ უკან ვივლით. – დღევანდელი პარლამენტი მოგწონს? – „გეიუდები“.

მიზნებისთვის გამოიყენოს, როგორც ეს თავის დროზე სააკაშვილმა გააკეთა. – ჩვენი პოლიტიკური ელიტა როგორია? – ერთი დახურული სივრცე და კლანია. უცოდინრობის და არაპროფესიონალიზმის ზეიმი. – ჩვენს საზოგადოებაში რა მოგწონს? – საზოგადოების ნაწილს სურს, განვიტარდეს და ეს ძალიან მახარებს. ზოგი კი, მხოლოდ იმედის ანაბარა დარჩა და ეს იმედს ხშირად აზარმაცებს. – როგორები უნდა ვიყოთ? – კონკურენტუნარიანები, კანონმორჩილი... კმაყოფილი ვიქნები, როცა სახელმწიფო ფუნქციონირების სისტემას შევქმნით და ჩვენი ქვეყნის ბედი ერთეულზე არ იქნება დამოკიდებული. – სახელმწიფო მოქალაქისთვის რა უნდა გააკეთოს? – ჩემი აზრით, ჩვენ თავს სახელმწიფოზე მეტი ჩვენვე უნდა გავუყუდოთ. სახელმწიფო ვალდებულია, რომ ნებისმიერ მოქალაქეს ჰქონდეს საშუალება, ექიმს გაეხსნოს, ნამალი იყიდოს. ღარიბი ქვეყანა ვართ და რთულია, ყველა გაჭირვებული სახელმწიფო არჩინოს, თუმცა განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა აუცილებელია. – 9 წელი... – 9 წელში საფუძვლი ჩავუყარეთ სახელმწიფოს, მაგრამ პოლიტიკურს, დანაშაულებრივს, ფასადურს. მაშინდელ ხელისუფლებას ჰქონდა ნდობა უცხოეთიდან, მაგრამ ყველაფერი ეს, თავისივე იმპულსური ძაბვებით, გააძლიერა. რაც ყველაზე ცუდია, ამ ხალხმა თავის თავზე მოიგროვო ძველი მითაბარი ღირსება – კონსტიტუცია. ამ პერიოდში მივხვდებით ევროპას, თუმცა თითქმის ყველა ევროპული ღირსება დაბნეული ფორმით ინტეგრირდა. – „ოცნება“... – მას ადვილს საზოგადოება მიუჩნის. – წელანაც გკითხვ და ისევე გეკითხები: გვეშველება რამე? – ზოგს ახლაც ეშველა და სულ ნაშველია. რაც შეეხება მთლიანობას, რთულია, ოპტიმიზმი დაკარგო... ჩემი აზრით, მაშინ გვეშველება, როცა ხელისუფლებას დამპყრობების თვალთ შევხვდეთ. არ მომწონს შეხედულება, რომ ყველაფერი წინა თაობის ბრალია. სწორედ იმ წინა თაობამ მოგვითანა თავისუფლება და ახლა ერთობლივად უნდა დავინყუთ წარსულის გადახედვა, ან მისი ანალიზი. ვფიქრობ, ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა, ამიტომ, თუ გვინდა, რომ გვეშველოს, ბევრი უნდა ვისწავლოთ, ვიშროოთ, არ ვიზარმაცოთ, ცოტა ვიჭიროოთ და ყველაფერი გამოვივა. რაც მთავარია, ადამიანის პირადი სივრცე უნდა გახდეს ხელშეუხებელი, რათა ვინმემ ზურბი ქვეშ არ იცხოვროს!

– ეროვნული, სადაც, თავისთავად, დემოკრატიაც იქნება და სოციალური კეთილდღეობაც, როგორც ეროვნულობის განხორციელების საშუალება. – სახელმწიფო საზოგადოებას რა პირობები უნდა შეუქმნას? – საშუალება უნდა მისცეს, რომ ადამიანებმა თავიანთი შესაძლებლობები და უნარები მაქსიმალურად გამოავლინონ. ამასთან, აუცილებელია პროგრესული გადასახადების დანერგვა, განათლების ნომერ პირველ პრიორიტეტად დაყენება და ეროვნული ეკონომიკის გაძლიერება. ყველაფერი სოციალ-ეკონომიკური საკითხებით იწყება, ეროვნულობა კი, ამ პირამიდის წვერი. – დღეს სახელმწიფოზე ეკლესიის გავლენა იგრძნობა? – დიახ, რადგან ეკლესია საზოგადოებაში ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და ამ ფაქტორს პოლიტიკაც იყენებს. ეკლესიაც ცდილობს, საკუთარი ინტერესები პოლიტიკის მეშვეობით დაიცავს. – შენი აზრით, საქართველოში ლიბერალიზმი როგორ ეხმობ? – სამი კატეგორიის ხალხია: პირველი, რომელიც ლიბერალიზმში ხსნას ხედვას, რადგან თვლის, რომ ეს თავისუფლება და კიდევ ბევრი სხვა რამეა, მაგრამ არ იცის, რა. მეორე ნაწილი ლიბერალიზმს ხედვას, როგორც ეროვნული დასუბნის იარაღს; მესამე კი, რომელსაც მე ვეკუთვნის, თვლის, რომ ლიბერალიზმის ფუნდამენტური პრინციპების რალაც ნაწილის მორგება ქართულ საზოგადოებაზე შეიძლება. – მიზანი ინდივიდუალური მით მიიღწევა თუ კოლექტიური შრომით? – პირველ რიგში, მიზნის კატეგორიები უნდა გამოვყოთ. თუ მიზანი საზოგადოებასა და სახელმწიფოს ემსახურება, მაშინ კოლექტიური, ანუ მთელი საზოგადოების მუშაობაა საჭირო, მაგრამ თუ საქმე ერთი ადამიანის მიზანს ეხება, მაშინ – ინდივიდუალური მუშაობა. ეს ინდივიდებს უფრო გააძლიერებს, განავითარებს და საზოგადოებაზეც დადებითად იმოქმედებს. – შენი აზრით, ყველანი „პოლიტიკოსები“ რატომ ვართ? – ეს უფრო ქართველების სენია. გვიყვარს, როცა სახელმწიფო საქმეებში ჩვენზე უფრო კომპეტენტურებსაც ვასწავლით. „მგზავრის წერილებში“ ლელთ ლუნია, მართალია, სწორად მსჯელობს, მაგრამ ქართული ხასიათი მაინც აშკარად ჩანს. – ხალხი მესიას რატომ ეძებს? – ამომრჩეველთა დიდი ნაწილი ყოფილი საბჭოთა მოქალაქეა და ახალ დემოკრა-

ტიულ წესრიგს მიჩვეული არაა. შესაბამისად, ლიდერის ძებნის სურვილი წარსულის ბრალია. – ყბადღებული 9 წელი... – სამწუხაროდ, ამ 9 წლის განმავლობაში პატარა და გაუთვითცნობიერებული ვიყავი, მაგრამ ამ 9 წლის მინურულს, უკვე კარგად შემძლო განმეხსენებინა პოლიტიკური დანაშაული კანონიერებისგან და უფრო მეტად დანაშაულს ვხედავდი, ვიდრე – კანონიერებას. – „ოცნება“... – „ოცნებამ“ საზოგადოების ნდობა სწორედ იმიტომ დაკარგა, რომ ძალიან დიდი ნდობა ჰქონდა, თავს ზედმეტად ბევრის უფლება მისცა და... 2016 წლის არჩევნებზე ვნახავთ, რომ პარლამენტში, მინიმუმ, სამი პარტია შევა. – გვეშველება რამე? – თუკი ამას სერიოზულად მეკითხები, შემძლია, დავასაბუთო, რომ გვეშველება. პირველ რიგში, ჩვენი და წინა თაობა უნდა შევადაროთ. ამ შეკითხვას იმიტომ სვამენ, რომ ახლა საშინელ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომელშიც შეიძლება, წინა თაობა „დავადანაშაულოთ“. ეს წინა თაობა იმყოფებოდა სოციალისტურ გარემოში, რაც გულისხმობდა, რომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, გარანტირებული ჰქონდა სამსახური. ეს კი, შრომით ბაზარზე უკონკურენტობას იწვევდა და, შესაბამისად, პიროვნული და კარიერული განვითარება ნაკლებად იყო. ე.წ. საბაზრო საზოგადოებაზე რომ გადავიდით, წინა თაობა ინერტული აღმოჩნდა და ძალაუფლების მოპოვება მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს. ჩვენი თაობა შეჩვეულია საბაზრო სისტემას, იცის, რომ თუ შრომის ბაზარზე კონკურენციას ვერ გაუძლო, დაიღუპება. კონკურენციისთვის კი, მუდმივი პროფესული და კარიერული განვითარება საჭიროა, რასაც ჩვენი თაობა თითქმის ყოველდღე აკეთებს. შესაბამისად, როცა სახელმწიფოს მართვა ჩვენ მოგვინევს, კონკურენტუნარიანი და პროფესიონალი განვითარებული საზოგადოება ვიქნებით. ჩვენ ვიქნებით დემოკრატიულ პრინციპებზე აღზრდილი, არ დავუშვებთ უკანონობას და, აქედან გამომდინარე, გვეშველება! – „გვეშველება რამე“ – ეს შეკითხვა მეორეკურსელ ლაშა კაკაშვილსაც დაეუსვი: – მჯერა, რომ გვეშველება. – ოპტიმიზმის საფუძველს რა გაძლევს? – იყო დრო, როცა მამა მძისთვის ცხოვრობდა და გარკვეული მიზნები ერთმანეთის

მოამზადა ღამით ბალაშვილმა

პოლიტიკური ანალიზი

დასავლეთი და რუსეთი საქართველოში „ფერადი რევოლუციის“ ლიდერს ეძებენ!

თბილისის საკრებულოს დეპუტატს, სოსო მანჯავიძეს მერიაში შეეხვედნენ. მითხრა, მყარი ნარჩენების გადამამუშავების საკითხზე მომუშავე კომისიის წევრი ვარ და მთელი დღე აქ ვიქნები... რადგან მერიაში ვიყავით, ბატონო სოსო კი იმ ორგანოს წარმომადგენელია, რომელსაც ქალაქის მთავრობის მონიტორინგი ევალება, პირველი შეკითხვაც სწორედ ამ თემაზე დავუსვი, თუმცა გვერდი ვერც დიდ პოლიტიკას ავუარეთ და იმ „ჯადოსნურ წრეზე“ ვისაუბრეთ, რომელიც ბოლო დროს პრეზიდენტის გარშემო შეიკრა:

— როცა მერიაში ახალი გუნდი მოვიდა, არაჯანსაღი ფონი დახვდა. მანამდე არსებობდა სისტემა, როცა ქალაქის მერია, საკრებულო და მთავრობა, ერთი წლის განმავლობაში, ერთმანეთთან დაძაბულ ურთიერთობაში იყვნენ: ერთი მხრივ, გადაბირების, მეორეს მხრივ კი, საბოტაჟის პროცესი მიდიოდა. საერთოდ, როცა სახელმწიფო ბიუროკრატია პოლიტიკურად ანგაჟირებულია და ამ დროს მეორე გუნდი მოდის, ბიუროკრატული მანქანის წმენდა ხდება, რასაც ხშირად კვალიფიციური სუბიექტების გათავისუფლება მოჰყვება ხოლმე. სააკაშვილმა, თავის მრავალრიცხოვან მანქანებთან ერთად, ისიც ჩაიღწია, რომ სახელმწიფო აპარატის პოლიტიზირება ლამის დამლაგებლის დონეზე მოახდინა. ეს უდიდესი დანაშაულია. უნდა გვესმოდეს, რომ ის ქვეყნები ვითარდებიან, რომლებსაც სახელმწიფო აპარატის დაკომპლექტების გამაერთიანი პოლიტიკა აქვთ.

— მერიის ახალი გუნდი ცდილობს, რომ სააკაშვილის მიერ დანერგილი სისტემა შეცვალოს?

— ამ სისტემის შესაცვლელად რვა თვიდან ერთ წლამდე დროა საჭირო. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ძალიან ბევრი ძალა ცდილობდა, ახალი გუნდისთვის საინფორმაციო დარტყმები მიეყენებინა და მუშაობის დეზორგანიზება მომხდარიყო. ტრადიცია — ოღონდ მე ვიყო ხელისუფლებაში და ქვეყანაც დაქვევულაო, — ჩვენთან 500 წელია გრძელდება. ახლაც ვხედავთ არაჯანსაღ, უცოდინარ ოპონირებას, რომელიც სახელისუფლებო გუნდის პოლიტიკური კომპეტენციის ზრდას ხელს არ უწყობს. ოპოზიციას ჰგონია, რაც უფრო მეტად გაილანძლება და დესტაბილიზაციის მეტ საფრთხეს შექმნის, უფრო დააფასებენ. ხშირად, ყველაფერი ეს სავაჭროდაც გამოიყენება ხოლმე...

— ესე იგი, მერიის მუშაობა არ მოგწონს?

— სისტემა ნორმალურს მხოლოდ შესყიდვების კანონის შეცვლის მერე დაემსგავსება.

— ეს გუნდი შეძლებს, ვერ კანონი და მერე, მთელი სისტემა ნორმალურს დაამგვანოს?

— მოდით, ასე ვთქვათ: აქვს შესაძლებლობა, რომ შეძლოს?! გარკვეული მცდელობები არის, მაგრამ ერთიანი კონცეპტუალური ხედვა, თუ როგორ უნდა შეეცვალოს ყველაფერი ეს, არ არსებობს, თუმცა ეს მთავრობის კომპეტენცია არაა.

— აბა, ვისია?

— პარტიას, რომელიც ხელისუფლებაში მოდის, პლატფორმა უნდა ჰქონდეს, რომლის საფუძველზეც ქვეყანას მართავს. ნამდვილად ვერ მეტყვი, რომ მმართველ გუნდს ასეთი პლატფორმა აქვს და ვერც იმას მეტყვი, რომ ასეთი პლატფორმა უნდა კარნახობდეს პოლიტიკურ პარტიებს რეფორმის გატარების გეგმაც. არადა, რეფორმები, მართლაც, გასატარებელია. ყველა ვხედავთ, რომ ჩიხში ვართ: არ გვაქვს ერთი სამეცნიერო ცენტრი, რომელიც მთავრობას იღებებს მიანოდებს. სხვა ქვეყნებში მსგავსი ცენტრი ერთი კი არა, რამდენიმეა და ისინი ერთმანეთს ოპონირებას უწევენ. ჩვენთან, სამაგიეროდ, ერთ ან ხუთკაციანი გრანტიჭამია არასამთავრობოებია, რომლებიც სულ სხვა მიზნით არიან შექმნილნი.

საქართველოში სამეცნიერო ცენტრის შესაქმნელად ინტელექტუალური პოტენციალი არსებობს, მაგრამ არ არსებობს პოლიტიკური ნება. არადა, ფულს ისეთ რაღაცებში ვხარჯავთ, გაგიკვირდებათ.

— მაგალითად?

— მაგალითად, რას გვმატებს თბილისში სუპერმარკეტების ჩატარება? — 90 წუთი ირბენ და მორჩა, მერე რა?! 38 მილიონი ლარი ჭადრაკის განვითარებისთვის გამოყვავით. ჭადრაკი ძალიან მიყვარს, მაგრამ ეს ხომ აბსურდია? სააკაშვილის მიერ აშენებული მახინჯი ხიდის მოვლა-პატრონობაზე 500 ათასი ლარია გათვალისწინებული...

— დედაქალაქის ბიუჯეტს ხმა მიეცით?

— როცა ბიუჯეტი შემოდის, თუ პასუხისმგებელიანი ადამიანი, ან, მით უმეტეს, პოლიტიკური ძალა ხარ, ალტერნატიული ბიუჯეტი უნდა გქონდეს, რომელიც შენი პოლიტიკური ხედვებით უნდა შეადგინო. საჭირო არაა, განუწყვეტილ იყვირო, სხვა რამე ჯობიაო. ეს პოლიტიკაა და არა — ტელევიზორიდან ხმამაღლა ლაპარაკი, სოციალურ ქსელებში — ლანძღვა-გინება.

— ხშირად ამიტომ აღარ ჩანხართ?

— ყვირილი არასოდეს მომწონდა. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ სააკაშვილი ქვეყნის მტერი იყო და, ნებისმიერი ფორმით, უნდა მოგვეცილებინა, მაგრამ ამავე დროს, ვამბობდი, რომ სახელმწიფოებრივი აზროვნების ადამიანები უნდა მოვიდნენ ხელისუფლებაში, ანუ უნდა მოგვეყვანა ადამიანი, ვისაც გარე და შიდა პრობლემების მოგვარება შეეძლო და, ამავე დროს, ეცოდინებოდა რომ გარე და შიდა ერთია.



რა ჩაიფიქრა მარგველაშვილმა — სოსო მანჯავიძის პრობლემა

— ხმაურისა და აურზაურის „შემოქმედი“ ორი ძალა — ხელისუფლება და „ნაცმოძრაობა“. ბატონო სოსო, თქვენი აზრით, ქართული პოლიტიკურ სივრცეში მესამე ძალა არსებობს?

— „ქართული ოცნებაში“ კონცეპტუალურად ყველაზე გამართული „რესპუბლიკური პარტია“; თუმცა მას არ ვნდობი და მიმაჩნია, რომ „რესპუბლიკელები“ „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგიური მოკავშირეები არიან.

პარალელურად, მარგველაშვილი გარშემო იკრებს ძალებს, რომლებიც თავის დროზე სააკაშვილის საყრდენები იყვნენ. მის გარშემო ის ჟურნალისტებიც შეიკრიბნენ, რომლებიც საქართველოში ფსევდო-პოზიციურ ტრენდს შეადგენდნენ, ასევე, ის არასამთავრობოები, რომლებიც სააკაშვილის საყრდენი იყვნენ. ისიც ვიცი, მარგველაშვილი რომელი პარტიიდანაც მოვიდა. ცხადია, რომ მარგველაშვილი ძალაუფლების ცალკე ცენტრს ქმნის.

— ის ხმავე რეალურად გვეჩვენება, რომ კიევში, სააკაშვილთან თითქოს ფარული მოლაპარაკებები მიდის?

— ეს ხმა შემთხვევით არ გაჩნდა. „ნაცმოძრაობის“ ყოფილი წევრებიდან კოალიცია რომ შეიქმნებოდა, ამაზე დიდი ხნის წინ ვსაუბრობდი. ეს სცენარი ახლა — მალე ვნახავთ, „რესპუბლიკელები“ რასაც იზამენ...

— ანუ, ის, რასაც უკრაინული პრესა წერს, თქვენი აზრით, სიმართლესთან ახლოსაა?

— კვამლი ცეცხლის გარეშე არ არსებობს. რად გვიინდო უკრაინული პრესა, არ ვიცი, რომ ასეა?

— კოალიცია არჩევნებამდე მიაღწევს?

— შეეჭვება. ისე, კოალიცია, პრაქტიკულად, აღარ არსებობს. ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ ძალიან პირობითადაა. ავიღოთ პოსტები და ჩამოვთვალოთ: პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, ე.წ. პროდასავლური ოპოზიცია, სახალხო დამცველი, პარლამენტის წამყვანი კომიტეტები, ელექტრონული მედია, არასამთავრობოები — ყველაფერი ეს აღმასრულებელი ხელისუფლების კისერზე მარყუჟია.

— თუ ასეა, „რესპუბლიკელები“ კოალიციაში რატომ ჩერდებიან?

— მათ დამოუკიდებელი ელექტორალურ რესურსი არ აქვთ. აქედან გამომდინარე, ისე იქცევიან, როგორც „პოლიტიკურ პარაზიტებს“ ახსიათ. ეს საერთაშორისო გავლენებთან ინტეგრირებული ორგანიზაციაა და, ელექტორალური რესურსის ნაკლებობის გამო, „ოცნების“ კისერზე თავს კარგად გრძობს. „რესპუბლიკელები“ ამ ხიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში გადმოხტებიან, თუ ახალი ხე აღმოცენდება. ახალი ხე კი, უნდა იყოს ის ძალა, რომელიც, არეულობის დროს, ქვეყნის მართვას თავის

თავზე აიღებს.

— ბატონო სოსო, პრაქტიკულად, ფერადი რევოლუციის სცენარი „დადეთ“...

— ფერად რევოლუციას ერთი რამე აკლია — „ლიდერ მიპი“ და კიდევ იმ ძალების კონსოლიდაცია, რომლებმაც მცოცავი ლიბერალური რევანში მოახდინეს და აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც თავის მხრივ ძალიან დაბნეულია და მტერ-მოყვარის გარჩევის პრობლემები აქვს, ალყაში მოაქციეს. მათ, პრაქტიკულად, ხელში ჩაიგდეს მთელი ხელისუფლება, თან ისეთი ფორმით, რომელსაც კრიტიკა არ ესება. მთელი დარტყმა მიდის აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, რომელსაც საქმის კეთება ევალება და, ავად თუ კარგად, ცდილობს, გააკეთოს. ეს რელობაა და მხოლოდ ის ლიდერია სჭირდება, რომელიც ამ პოლიტიკური ბრძოლის შედეგებს გააფორმებს.

— ასეთი ვინ შეიძლება იყო?

— ბევრს ამზადებენ. მათ კამერები აქვთ მიშვერილი და აქტიურობენ, რათა გარკვეული ელექტორალური რესურსი შეიძინონ, მაგრამ ჯერჯერობით ისეთი ტიპის ქარიზმატული დემაგოგი, როგორც სააკაშვილი გახლდათ, ვერ უპოვიათ იმიტომ, რომ ასეთი ტიპის მომზადება ძალიან ძეგლია. „ნაციონალი“ დემაგოგების მომზადება, წლების განმავლობაში, აშშ-ში, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ მიმდინარეობდა. ნაწილი რუსულმა სპეცსამსახურებმა მოამზადეს. ახლა ისინი ვაკუუმში არიან, თან ხალხმაც გარკვეული გამოცდილება მიიღო — ასეთი ტიპის დემაგოგებზე „აცრილია“. სხვა ფორმებია მოსაძებნი და ამისთვის მხოლოდ ნიჭიერება არ კმარა. ვერ პოულობენ „ახალ მიშას“, რომელიც თავის თავზე აიღებს ამ მისიას.

— შეიცვლება თუ არა სიტუაცია იმ შემთხვევაში, თუ ბიძინა ივანიშვილი პრემიერად დაბრუნდება?

— იდეალური იქნებოდა ივანიშვილის ავტორიტეტი ინსტიტუციონალურად გაფორმებულიყო, ანუ ის ყოფილიყო პრეზიდენტი — არბიტრი იქნებოდა და რეფორმებიც მშვიდად ჩატარდებოდა, მაგრამ ეს შეუძლებელია — პრეზიდენტის სავარძელი დაკავებულია. მარგველაშვილი, კონსტიტუციით, პირველი პირია და ძალიან ბევრი ბერკეტი აქვს, თუმცა პოლიტიკურ ამინდს, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური პრობლემების გაურესება ელოდება, რათა „ქართულ ოცნებასა“ და ბიძინა ივანიშვილს უყულოს. შესაბამისად, ივანიშვილი პრემიერის პოსტზე დაბრუნება რეალურად გააშვავებს ვითარებას. გარდა ამისა, დრო მარგველაშვილზე მუშაობს — პრეზიდენტად ყოფნის სამწელზე მეტი აქვს დარჩენილი. ამიტომ საჭიროა ექსტრაორდინალური მოქმედებები, რათა ამ ვითარებიდან გამოვიდეთ.





„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენებელი ხარ სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგო ლექსი

თავისუფლების ტრიზუნა

ენერგეტიკის სფერო, როგორც ამბობენ, პრემიერ-მინისტრისა და ვიცე-პრემიერის დაპირისპირების საბაზი გახდა. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე დღის წინ, პრემიერმა სამთავრობო სხდომა იმით დაიწყო, რომ ენერგეტიკის სამინისტროს, სემეკისა და ენერგოკომპანიების შიდა საუბრების გასაჯაროებით უკმაყოფილოა. საქმე ეხება სამომხმარებლო ტარიფების ზრდას, რასაც კოალიცია „ქართული ოცნება“ არ ადასტურებს... „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბალათურია აცხადებს, რომ ენერგეტიკაში ტარიფების ზრდა მალაღი თანამდებობის პირების ბიზნესინტერესებში შედის... „ქართული სიტყვა“

„ამ ბარიბეზების დოკუმენტაცია მაძვს და პროკურატურის ეზოში გამოვფენ!“

ჯონდი ბალათურია პრემიერს მთავრობიდან კალაქის გუნდის ჩამოცილებისკენ მოუწოდებს!

– ბატონო ჯონდი, ხელისუფლება ირწმუნება, პასუხისმგებელიანი ვარო. თქვენ კი ამბობთ, რომ საქართველოს მთავრობა უპასუხისმგებლოა. ამას რის საფუძველზე ამბობთ?

– მართალია, ირაკლი ლარიბაშვილმა მთავრობის ბოლო სხდომაზე ენერგეტიკის სამინისტროს მისამართით კრიტიკული განცხადებები გააკეთა, მაგრამ ეს არასაკმარისად მიმაჩნია. ლაპარაკია სატარიფო პოლიტიკაზე, ანუ იმაზე, რომ ენერგეტიკის სამინისტრო ტარიფების უკანონოდ ზრდას ლობირებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მთავრობა წინასწარჩვენოდ დაპირებულ ტარიფების განახევრებას თაროზე შემოდებს და გადასახადებს გააძვირებს. მიმაჩნია, რომ ამას ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელისა და, ამავე დროს, ვიცე-პრემიერის თანამდებობიდან, მინიმუმ, დროებით ჩამოშორება მაინც უნდა მოჰყოლოდა, თუმცა ლარიბაშვილი მხოლოდ კრიტიკით შემოიფარგლა. არადა, ენერგეტიკის მალაღინოსნები ტარიფების ზრდით პირდაპირ არიან დაინტერესებულნი. გაზგამანაწილებელმა კომპანიებმა, „თბილგაზმა“, ასევე, ელექტრომომარაგების კომპანიებმა და დისტრიბუტორებმა ფასების გაზრდა მოითხოვეს, „თბილგაზმა“ – 20%-ით, თუმცა იმასაც განიხილავენ, რომ 25%-ით გაიზარდოს. იგივე ინიციატივებით გამოვიდნენ თბოელექტრო სადგურები, მათ შორის, ის თვრამეტი თბოელექტრო სადგური, რომელსაც კომპანია „კალა-ენერჯი“ ფლობს. გაირკვა, რომ ვიცე-პრემიერი თვრამეტი ზონაში, კვიპროსზე დარეგისტრირებული კომპანია „კალა ლიმითედიას“ და მისი შვილობილი „კალა კაპიტალის“ და „კალა-ენერჯის“ მფლობელია. „კალა ენერჯის“ დირექტორი მარიამ ვალიშვილი იყო, რომელიც ახლა კალაქის მოადგილეა. გარდა ამისა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომელიც „თბილგაზს“ უკავშირდება და რომლის ხელმძღვანელიც, ასევე, „კალა კაპიტალიდან“ გადასული კადრია.

მონოპოლიის დამკვიდრების შესაძლებლობა და დღეს ქართულ ენერგეტიკაში კარგად გამართული კორუფციული სისტემა მუშაობს, რომელშიც ენერგეტიკის მარეგულირებელი უწყებაცაა ჩაბმული და რომელიც აცხადებს, რომ აზერბაიჯანიდან შესყიდული გაზის ტარიფი კომერციული საიდუმლოა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ენერგომპარტრებლებზეა დამოკიდებული და სახელმწიფოთა შორის ასეთი სახის გარიგებებში რატომ არ უნდა იცოდეს, რას იხდის? კახი კალაძე და მარიამ ვალიშვილი ასეთი რა ავტორიტეტები არიან, რომ მათ ხალხი თვალდახუჭული ენდოს? ესაა პასუხისმგებელიანი მთავრობა?

– რას ამბობთ, ბატონო ჯონდი?
– ამ გარიგებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მაძვს და, სავარაუდოდ, ამ დღეებში, თანამოაზრეებთან ერთად, პროკურატურასთან შევიკრიბებით, სადაც წარმოვადგენთ ფოტოგამოწვენას.

– სანქცირებული მიტინგი გექნებათ?
– არა, ამას მიტინგს ვერ დავარქმევ. ჩვენი გამოსვლით პროკურატურას შევახსენებთ, რომ ქვეყანაში ელიტური კორუფცია, ნეპოტიზმი და პროტექციონიზმი გაიფუფულებული. მოსახლეობას კი, საქმის კურსში ჩავაყენებთ, თუ არ მასალად გადავიცით პროკურატურას. ამასთან, მთავრობას შევახსენებთ, რომ კანონის წინაშე ყველა თანაბარია.

– თქვენი ინფორმაციით, ტარიფების გაძვირება როდიდან იგეგმება?
– ამაზე დიდი ხანია, საუბრობენ... ჩვენსა და ენერგეტიკის სამინისტროს შორის პიარ-ბრძოლა მიდის. სამთავრობო სხდომაზე ლარიბაშვილის რეაქცია ჩვენს მიერ იყო პროვოცირებული. თუ არ უნდა, რომ მისი რეაქცია შეფასდეს, როგორც არაგულწრფელი, სასწრაფოდ ზომები მიიღოს და მთავრობას ეს გუნდი ჩამოაშოროს.

– ბატონო ჯონდი, თავის დროზე ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ოჯახურ ბიზნესზე გქონდათ მასალები და ამ პროექტს „რეაფენს“ დაარქვით...
– ახალ პროექტს ვინყებთ, რომლის, ასე ვთქვათ, შინაარსიც პროკურატურის გამოუძიებელი საქმეებია. შესაძლოა, ეს ორი თემა გავაერთიანოთ და პროკურატურის ეზოში ეს მასალებიც გამოვფინოთ.

ისე, თუ მთავრობა ტარიფების გაზრდას გადაწყვეტს, ხალხი ქუჩაში გამოვა – ეს ბრძოლის აპრობირებული მეთოდია: იყო ქუჩის გამოსვლები და 2012 წლის 1 ოქტომბერი მივიღეთ, რაც, ხარვეზების მიუხედავად, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში უდავოდ, პროგრესია. ამიტომ, ეს წინგადადგმული ნაბიჯი კორუმპირებულ ჩინოვნიკებს არ უნდა გადავაყოლოთ. როგორც ადამიანი, პოლიტიკაც მოძრავი, ცოცხალი ორგანიზმია, თავისი სიკეთით და ბოროტებით.



საზოგადოების ნიპილიზმა და უიმედობაში შეყვანას არავინ გვაპატიებს.
– საზოგადოებრივი ნიპილიზმის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ისიცაა, რომ ხელისუფლება წინამორბედის უკანონობაზე ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ სამართლებრივი შედეგი არ დგება და სააკაშვილი, ერთი ქართული ზღაპრის არ იყოს, „იციინის, იციინის, კვდება სიცლით“...

– პროკურატურაში მასალები 2012 წლის ნოემბერში შევიტანე, მაგრამ დღემდე არაფერი ისმის – არანაირი რეაგირება.
– ბატონო ჯონდი, თქვენი აზრით, გიორგი მარგველაშვილი და „ოცნება“ ერთმანეთს მართლა პრეზიდენტის სასახლის გამო დაეცავენ თუ საბაზი სხვა რამეა?
– საკუთარი ჭუჭყიანი საცვლების გარეთ, მეზობლების დასანახად გამოფენა სამარცხვინოა!

– ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მას მერე, რაც საქმეები ბებიაშის ოცი წლის „ჰონდასა“ და ნახმარ პალტოებზე აღძრეს, ხელისუფლებასა და ქართულ მართლმსაჯულებას ნამდვილად დასცინის. ამი „ქართულმა ოცნებამ“ თვალთმაქცურად საზოგადოებას აჩვენა, რომ თითქოს „ნაციონალების“ პოლიტიკური ოპონენტია. არადა, ამ დროს პროკურატურას ჩემს მიერ მოპოვებული მასალები ედო, რომელიც სააკაშვილის მიერ 200-300-მილიონიან უკანონოდ მითვისებულ ქონებას ეხება, მაგრამ ამაზე საქმე არ აღუძრავს. ამით მიშამ ევროპასა და აშშ-ს დაუმტყიცა, რომ მის მიმართ არა სამართლებრივი, არამედ, პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს. ამას ჯაჭური რეაქცია მოჰყვა – ადგილზე ინტერპოლმა ძებნა შეწყვიტა, ძებნილთა სიიდან კიდევ ბევრი სხვაც ამოვარდა. ამ პროცესებს არაპროფესიონალიზმს ვერ ვუნდობ, ეს მიზანმიმართული ქმედებაა.

– „ლიმილიანი საქართველო“ სააკაშვილის ერთ-ერთი თაღლითური წინასწარჩვენო პიარი იყო, რომლის დროსაც ხალხს კბილები დააძვრეს და, არჩევნებში სასურველი შედეგის მიუღებლობის მერე, მიატოვეს. ჩ შეპატივის პროგრამა კი, უაღრესად მნიშვნელოვანია და ყურადღება მისზე გავაამახვილე, რომ პირველ ეტაპზე, მხოლოდ 5 000 პაციენტის მკურნალობა მოხერხდება, დანარჩენის მკურნალობა მომავალი წლისთვის გადაიდება. 2016 წელს არჩევნებშიც წამოგვეწევა. მინდა, შევახსენო პოლიტიკოსებს, რომ მართალია, არჩევნებიდან არჩევნებამდე ვცხოვრობთ, მაგრამ დანაპირების შეუსრულებლობას ამომრჩეველი არავის პატიობს!

– ანუ, პროკურატურაში თქვენს მიერ წარდგენილ მასალებზე პასუხი არ მიგიღიათ?
– მას წინათ, სოციალურ ქსელში სააკაშვილის წინასწარჩვენო პროექტი – „ლიმილიანი საქართველო“ გაიხსენეთ და რალა-ცნაირად ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ინიცირებულ და დანერგულ ჩ შეპატივის პროგრამას შეადარეთ. რატომ?

– „ლიმილიანი საქართველო“ სააკაშვილის ერთ-ერთი თაღლითური წინასწარჩვენო პიარი იყო, რომლის დროსაც ხალხს კბილები დააძვრეს და, არჩევნებში სასურველი შედეგის მიუღებლობის მერე, მიატოვეს. ჩ შეპატივის პროგრამა კი, უაღრესად მნიშვნელოვანია და ყურადღება მისზე გავაამახვილე, რომ პირველ ეტაპზე, მხოლოდ 5 000 პაციენტის მკურნალობა მოხერხდება, დანარჩენის მკურნალობა მომავალი წლისთვის გადაიდება. 2016 წელს არჩევნებშიც წამოგვეწევა. მინდა, შევახსენო პოლიტიკოსებს, რომ მართალია, არჩევნებიდან არჩევნებამდე ვცხოვრობთ, მაგრამ დანაპირების შეუსრულებლობას ამომრჩეველი არავის პატიობს!

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

„მძსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მას მერე, რაც საქმეები ბებიაშის ოცი წლის „ჰონდასა“ და ნახმარ პალტოებზე აღძრეს, ხელისუფლებასა და ქართულ მართლმსაჯულებას ნამდვილად დასცინის. ამი „ქართულმა ოცნებამ“ თვალთმაქცურად საზოგადოებას აჩვენა, რომ თითქოს „ნაციონალების“ პოლიტიკური ოპონენტია. არადა, ამ დროს პროკურატურას ჩემს მიერ მოპოვებული მასალები ედო, რომელიც სააკაშვილის მიერ 200-300-მილიონიან უკანონოდ მითვისებულ ქონებას ეხება, მაგრამ ამაზე საქმე არ აღუძრავს. ამით მიშამ ევროპასა და აშშ-ს დაუმტყიცა, რომ მის მიმართ არა სამართლებრივი, არამედ, პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს. ამას ჯაჭური რეაქცია მოჰყვა – ადგილზე ინტერპოლმა ძებნა შეწყვიტა, ძებნილთა სიიდან კიდევ ბევრი სხვაც ამოვარდა. ამ პროცესებს არაპროფესიონალიზმს ვერ ვუნდობ, ეს მიზანმიმართული ქმედებაა.“





საქართველოს მთავრობის განცხადებით, გამომდინარეობს ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

კარგა ჯანაძე

ნაღვნი საგარეო იტხოსს!

სკანდალური ფაქტები, რომლითაც „ნაციონალების“ საერთაშორისო მაფიაში მონაწილეობა დასტურდება

ხალხისთვის უკანონოდ წართმეული ქონების მნიშვნელოვანი წილი ძვირადღირებულ ავტომანქანებზე მოდის, რომელთა ნაწილი „ნაციონალიზმ“ პირადად მიისაკუთრა. თუ გავიხსენებთ, რომ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ წართმეული საქონლები, ერთმანეთის მიყოლებით, კრახით სრულდება, ასეთი მანქანების დაბრუნებაზე ოცნება ისეთივე არარეალურია, როგორც — „ნაციონალიზმ“ მიერ მითვისებული მილიონების უკან დაბრუნება. იყო შემთხვევები, როცა წართმეული ავტომანქანები „გაქურდეს“, ან რომელიმე უწყვეტის საკუთრება გახდა (მათი დიდი ნაწილი დღესაც სახელმწიფო სტრუქტურების ბალანსზეა). წართმეული ავტომანქანების კანონიერი მესაკუთრეებისთვის დაბრუნების პრეცედენტი, ერთი-ორი, საჩვენებელ-სატელევიზიო „გამოსტომის“ გარდა, ჯერ არ შექმნილა. რა ხერხებით და მეთოდებით ართმევდა საავტომანქანო ხელისუფლება ხალხს ძვირადღირებულ ავტომანქანებს და რატომ არ ეთობა ეს მანქანები დღევანდელ ხელისუფლებას? — ამ თემებზე „ქართული სიტყვის“ ტრადიციული რესპონდენტი, წარსულში ჟურნალისტი, ადვოკატი ილზა ჯემსაძე საუბრობს, რომელსაც წართმევაში არაერთი მსგავსი საქმე აქვს.

„შეიტყაპუნეს!“ როდესაც ხელისუფლება შეიცვალა და ხალხს იმედი გაუჩნდა, რომ უკანონოდ წართმეული ქონებას დაიბრუნებდა, ნატრიაშვილი მომართა თხოვნით, დაეხმარებოდა. დავინწყე ინფორმაციის მოძიება, თუ სად და ვის ხელში იყო ნატრიაშვილისთვის ჩამორთმეული მანქანა. აღმოჩნდა, რომ ავტომანქანა აღრიცხვიდან უკვე მოხსნილია. — ეს რას ნიშნავს? — ნელა აღვნიშე, საქმეში ვინმეს რომ ჩაეხედა, ნატრიაშვილის ავტომანქანას აშკარად ეტყობოდა, „ვერხით“ იყო წართმეული, რადგან ამ ავტომანქანის ბრალდებასთან დაკავშირება წარმოუდგენელი იქნებოდა — იმას ხომ ვერ მოელოდნენ, მისი ნაკვეთს რომ იფორმებდნენ, მაინც დაინახავდნენ ამ მანქანით დადილი, ამიტომ დანაშაულის ჩადენის იარაღი და უნდა ჩამოგართვათო! სწორედ ამიტომ ვვარაუდობ, რომ ავტომანქანა, ყოველი შემთხვევისთვის, თვალს მოაფარეს — რომელიმე მეზობელ ქვეყანაში გაიყვანა და აღრიცხვიდან ამიტომ მოხსნეს. სხვათა შორის, ამ თემაზე მუშაობისას არაერთი ინფორმაცია მოვიძიე და ვიცი, რომ ასეთი მანქანების თავიდან მოშორების საქმეებს ერთ თავიანთ „ნდობითაღჭურვილ“ ფორმას აკეთებინებდნენ, რომლის შესახებაც ხალხმაც იცის. ასე რომ, გამოძიებისთვის არც ამ ფორმის მიგნება და მეტი დეტალის დაზუსტებაა რთული.

— ელზა, შენი პრაქტიკიდან გამომდინარე, „ნაციონალები“ ხალხს ავტომანქანებს როგორ და რა მიზეზით ართმევდნენ? — მიზეზი, ანუ ბრალდება, რომლითაც ხალხს იჭერდნენ და გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდნენ, ათასნაირია, მაგრამ თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ პირის დაპატიმრების მიზეზი ხშირად ის ხდებოდა, რომ მას ძვირადღირებული, ანუ თვალმისაცემი ავტომანქანა ჰყავდა!

— ეგ როგორ? — როგორ და, — მშვენივრად: დანახავდნენ თუ არა, რომ ვიღაც ძალიან მაგარი მანქანით მოძრაობდა, იმაზე ფიქრს იწყებდნენ, რა შარი მოედოთ. მერე, ამ შარს რამე „სამართლებრივ ჩარჩოში“ მოაქცევდნენ, ორგვერდიან კლიშე-ბრალდებას შეთხზავდნენ და უბედურს ბორკილებს დაადებდნენ. ამის შემდეგ, წინასწარი დაკავების საკანშივე იწყებოდა კაცის ფსიქოლოგიური „დამუშავება“ — „კაპზეზე“ რომელიმე „ისპალიტილ“ სტაჟირის (მათი უდიდესი ნაწილი დღეს პროკურატურის სისტემაში დანაშაულებული და წარჩინებული) შეგზავნიდნენ და დაბარებდნენ, აბა, ძაბო, ზემოდაწინ შემოგთვალეს, რა გირჩევნია, გლდანში გაგიშვით თუ დროზე მოხვალ ქუთაისში?! ხალხი, რომელმაც იცოდა, „გლდანში გაშვება“ რასაც ნიშნავდა, მაშინვე ყველაფერზე თანხმობას აცხადებდა, ანუ დანაშაულსაც იბრალდებდა და ქონებასაც „საკუთარი ნებით“, სახელმწიფოს გადასცემდა. მათ, ვინც არ იცოდა, გლდანის ციხეში „კარანტინის დაშლა“ რას ნიშნავდა, ამ „ბედნიერებას“, ორ დღეში აზიარებდნენ, რის შემდეგაც ადამიანი, თუ ხე და ქვა არ იყო, ყველაფერზე ხელს აწერდა! ათასჯერ ითქვა და ერთხელ არავის მოუვიდა აზრად, დაედო კონკრეტული სტატუსი, ამოეღო საჯარო რეესტრიდან ან შსს-ს მომსახურების სააგენტოდან მონაცემები იმის შესახებ, კონკრეტულ პერიოდში ერთდროულად რამდენი ადამიანი გაეჟიდა და საკუთარი ძვირადღირებული უძრავი თუ მოძრავი ქონება სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა; რამდენი ასეთი „გარეგნული“ შედეგა შეუადამისას, საპატიმრო დანებებულემაში გაცემული მინდობილობების საფუძველზე...

— მინდობილობის გაცემა საპატიმრო დანებებულემაში შესაძლებელია? — კანონით, დასაშვებია, რადგან არის შემთხვევები, როდესაც პატიმარს წართმეული აუცილებლობა, მის სახელზე რიცხული ქონება გაყიდოს, ან სხვა ფორმით გაასხვისოს და ამაში, თუ ბრალდა ვინმესთვის ქონებრივი ზიანის მიყენება არ აქვს წარდგენილი, ხელი არ უნდა შეეშალოს. მოკლედ, საპატიმრო დანებებულემაში სხვადასხვა შინაარსის მინდობილობაზე პატიმრის ხელმოწერა სოციალური მუშაკის თანდასწარებითა შესაძლებელია. დანაშაული ის კი არაა, რომ პატიმარს მისი კუთვნილი ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით მინდობილობის გაცემა შეუძლია, დანაშაული ის გახლავთ, თუ ამას პატიმარი იძულებით აკეთებს. სადაც საქმის მასალებით ჩანს, რომ ბრალდებულმა ძვირადღირებული ქონება პირადად სარგებლის მიღების მიზნით, შეიღებე კი არ გაასხვისა, არამედ, მოძალადე სახელმწიფოს სასარგებლოდ გააჩუქა, უტყუარად დასტურდება, რომ ჩადენილია დანაშაული, რასაც ხისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, იძულება და მითვისება ჰქვია.

— ეს ქმედება დასჯადია, არა? — დიახ, მაგრამ ამ ქვეყანას პატიმარი არც მაშინ ჰყავდა, როცა ეს ამბები ხდებოდა და არც დღეს უჩანს გულმკერდობა, როცა ასეთი დანაშაულებრივი გზით ჩამორთმეული ქონება კანონიერი მესაკუთრეების 99,9 პროცენტს უკლებს. უკანონოდ წართმეული ქონების მნიშვნელოვანი წილი ძვირადღირებულ ავტომანქანებზე მოდის, რომელთა ნაწილი „ნაციონალიზმ“ პირადად მიისაკუთრა. თუ გავიხსენებთ, რომ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ წართმეული საქონლები, ერთმანეთის მიყოლებით, კრახით სრულდება, ასეთი მანქანების დაბრუნებაზე ოცნება ისეთივე არარეალურია, როგორც — „ნაციონალიზმ“ მიერ მითვისებული მილიონების უკან დაბრუნება. იყო შემთხვევები, როცა წართმეული ავტომანქანები „გაქურდეს“, ან რომელიმე უწყვეტის საკუთრება გახდა (მათი დიდი ნაწილი დღესაც სახელმწიფო სტრუქტურების ბალანსზეა). წართმეული ავტომანქანების კანონიერი მესაკუთრეებისთვის დაბრუნების პრეცედენტი, ერთი-ორი, საჩვენებელ-სატელევიზიო „გამოსტომის“ გარდა, ჯერ არ შექმნილა. რა ხერხებით და მეთოდებით ართმევდა საავტომანქანო ხელისუფლება ხალხს ძვირადღირებულ ავტომანქანებს და რატომ არ ეთობა ეს მანქანები დღევანდელ ხელისუფლებას? — ამ თემებზე „ქართული სიტყვის“ ტრადიციული რესპონდენტი, წარსულში ჟურნალისტი, ადვოკატი ილზა ჯემსაძე საუბრობს, რომელსაც წართმევაში არაერთი მსგავსი საქმე აქვს.



მანქანებით, რომლებიც საავტომანქანო ხელისუფლებამ ხალხს უკანონოდ წაართვა, „ოცნებას“ დაღის?

ტს ჯერ კიდევ არ დაბრუნებია! ნელა სტატუსი გახსენე და, საინტერესო კიდევ ის ფაქტია, რომ ჩამორთმეული მანქანების თითქმის ასი პროცენტი აუცილებლად ძვირადღირებულია...

— ესე იგი, „ნაციონალები“ იაფფასიან მანქანებს არ ართმევდნენ? — არა! ჩამორთმევაში ეს მანქანები ოფიციალურად შეფასებული და ამის გადამოწმება პრობლემა არ წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ამ შეფასების დროსაც ერთგვარ ეშმაკობას მიმართავდნენ, მაინც რას, რომ ძვირადღირებულ მანქანებზე იყვნენ ჩასაფრებული.

— რა ეშმაკობას გულისხმობ? — შეფასებისას ფიქსირდებოდა ავტომანქანის მნიშვნელოვნად შემცირებული, გამესამელებული, ან განახევრებული ფასი და ამის შემომწმებაც არ არის პრობლემა, რადგან არსებული ოფიციალური სტატუსი, რას ღირდა სრულიად კონკრეტულ დროს ესა თუ ის, ამა თუ იმ წლიდან ავტომანქანა, მოკლედ, ობიექტური გამოძიების პირობებში, ყველაფერ ამის დადგენა ადვილად შესაძლებელია, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ამგვარი ობიექტური გამოძიების მაგალითი ჯერ არ არსებობს. არადა, საჩივრები შეტანილია და ე.წ. ნადავრეების დეპარტამენტიც კარგა ხანია, შეიქმნა, თანაც გვარწმუნებენ, რომ ამ დეპარტამენტის მიზანი სწორედ უკანონოდ ჩამორთმეული ქონების კანონიერი მესაკუთრეებისთვის დაბრუნება და მეტი არაფერია.

— ასეთი საჩივრები შენც გაქვს შეტანილი? — როგორც კი ხელისუფლება შეიცვალა, პირადად მე, რამდენიმე საჩივარი შევიტანე, რომელიც კონკრეტულ გამომძიებლებს დაენერა და მათთან კომუნიკაციის ბედნიერებაც მქონდა. ისინი მპირდებოდნენ, რომ ჩატარდებოდა გამოძიება და საწარმოებთან ალდგებოდა. ამასობაში, ორ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ კონკრეტული შედეგები არ დამდგარა. ასე „შემოგვესწრო“ ახალი დეპარტამენტიც და საქმეებზეც მის დაქვემდებარებაში გადაინაცვლა. ახლა ორი ვარიანტია: ან უნდა დაესხედ და ველოდოთ, როდის ინებებენ და მიადგებიან ჩვენს საქმეებს, ან თავიდან უნდა შევიტანოთ საჩივრები — საქმეების წართმევა იქნება, ამ გზით დავაჩქაროთ.

— ახალი საჩივრების შეტანა არ გირჩევია? — საჩივრის თავიდან დაწერა და შეტანა პრობლემა არაა — ასეც მოვიტყევი, მაგრამ იცი, რა მაინტერესებს? — რატომღა უნდა ვწერო ახალი საჩივრები და თავიდან „ვაქსეროქსო“ საქმეების მასალები, პროკურატურა მაკ-

გილას მოეწყო, მაგრამ იმის გამო, რომ კარგი ხელოსნები მუშაობდნენ, ბევრი, მათ შორის „ძლიერი“ ამა ქვეყნისაშიც“ აკითხავდნენ. ალბათ, სწორედ ამიტომ მოხდა ნატრიაშვილი „ნაციონალ“ თვალსაწიერში და ერთ დღესაც მოედევნენ, დოკუმენტი გააყალბო და მისი ნაკვეთი მიითვისებო...

— ლამაზი არ ნაკვეთზე იყო? — პროფილაქტიკის მიმდებარედ, ერთი პატარა, ნაგავსარეულად გადაქცეული ხრამი მდებარეობდა, რომელიც არავის არაფერში სჭირდებოდა და ნატრიაშვილი იქაურობა საკუთარი ხარჯით გაასუფთავა. ამის შემდეგ, იფიქრა, მიემართავ საჯარო რეესტრს და, თუ შესაძლებელია, ამ ნაკვეთს დავიფორმებო და პროფილაქტიკას გავაფრთოვებო. მოაგროვა სათანადო საბუთები და ნაკვეთი კანონით დადგენილი წესით დაიფორმებო, მაგრამ ხომ უნდა გაეტყაყებინათ და დაეხრჩოთ?

— პოდა, გაატყაყეს და დაახრჩვეს კიდევ: მოედევნენ, ნაკვეთი კანონის დარღვევით გაქვს დარეგისტრირებული. „ფინანსურმა“ დაიჭირა და ნატრიაშვილმაც, რომელმაც გლდანის უკვე ნახა, რაც იყო, ერთდროულად გამოსავალად „აღიარება“ მიიწინა, დავაშავეო. დადგა ფეხზე ნატრიაშვილი, მოაგროვა ფული და გირაოს გადახდის შემდეგ, ნატრიაშვილი ციხიდან, წესით, უნდა გამოეშვა, მაგრამ მოულოდნელად, „ფინანსურმა“ შემოთვალა, ეზოში რომ „ინფინიტ“ გიდგას, ვიდრე მაგასაც არ გვაჩუქებ, გირაოსა და სამოციფსოზე არც იცინებო. ბევრი რომ არ გავაფრთხო, იმ დროს, როდესაც ნატრიაშვილი ჯერ კიდევ ციხეში იყო, შუალაშისას, ნატრიაშვილებს მანქანის წასაყვანად მიადგინე, მაგრამ რატომღაც ვერ დაქოქეს და ბუქსირით წაიღეს. „უფროსმა“ მანქანა რომ ნახა, მოეწონა და ამის შემდეგ ნატრიაშვილის შვილის სახელზე მინდობილობა დააწერინეს, რომელსაც ამ მინდობილობით უფლება ჰქონდა, ავტომანქანა გაეხსენებინა. ნატრიაშვილის შვილი ღამის საათებში წაიყვანეს, ხელი რაღაცაზე მოანერინეს. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს „რაღაც“ ავტომანქანის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის დოკუმენტი იყო. მოლოდინ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ნატრიაშვილის ციხიდან გამოყვანა. ამას მოჰყვა საპროცესო შეთანხმება, რაც დაამტკიცა სასამართლომ, ანუ ნატრიაშვილმა ხელი მოაწერა, რომ დამნაშავეა და თანახმა იყო, სწორედ იმ რაოდენობის ჯარიმა გადაეხადა, რაც გირაო ჰქონდა შეტანილი. მოკლედ, ნატრიაშვილი დიდი ფული გადაახდევინეს და ძვირადღირებული „ინფინიტ“ (რომელსაც ბრალდებასთან არაფერი აკავშირებდა, ანუ პირდაპირ, განაჩენით ვერ ჩამორთმევდნენ)

რება წარმოუდგენელი იქნებოდა — იმას ხომ ვერ მოელოდნენ, მისი ნაკვეთს რომ იფორმებდნენ, მაინც დაინახავდნენ ამ მანქანით დადილი, ამიტომ დანაშაულის ჩადენის იარაღი და უნდა ჩამოგართვათო! სწორედ ამიტომ ვვარაუდობ, რომ ავტომანქანა, ყოველი შემთხვევისთვის, თვალს მოაფარეს — რომელიმე მეზობელ ქვეყანაში გაიყვანა და აღრიცხვიდან ამიტომ მოხსნეს. სხვათა შორის, ამ თემაზე მუშაობისას არაერთი ინფორმაცია მოვიძიე და ვიცი, რომ ასეთი მანქანების თავიდან მოშორების საქმეებს ერთ თავიანთ „ნდობითაღჭურვილ“ ფორმას აკეთებინებდნენ, რომლის შესახებაც ხალხმაც იცის. ასე რომ, გამოძიებისთვის არც ამ ფორმის მიგნება და მეტი დეტალის დაზუსტებაა რთული.

— ნატრიაშვილის მანქანა ეგებ, ავარიში მოჰყვა და ამიტომ ჩამონერგეს? — როდესაც ვეძებდი, სად იყო ნატრიაშვილის ავტომანქანა, მივმართე შსს-ს მომსახურების სააგენტოს, რომელმაც მომცა ცნობა, თუ ვის სახელზე იყო რეგისტრირებული. იმის გარკვევა, თუ რატომ მოიხსნა ის აღრიცხვიდან, ჩემს კანონიერ შესაძლებლობას აღემატება და ეს გამოძიების პრეროგატივაა. ამიტომ არ შემიძლია, დაზუსტებით ვთქვა, რა მოხდა. მხოლოდ ის ვიცი, რომ როდესაც ნატრიაშვილმა წაართვეს, ავტომანქანა, პრაქტიკულად, ახალი და მშვენიერ მდგომარეობაში იყო. შესაბამისად, გაცილებით ძვირი ღირდა, ვიდრე ოფიციალური საბუთითა შეფასებული, მაგრამ ახლა ამის მტკიცება შეუძლებელია, ამიტომ ისლადავგრჩენია, მოვითხოვოთ ფულადი კომპენსაცია სწორედ იმ ფარგლებში, რის საშუალებასაც დოკუმენტი იძლევა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მანქანა ღირებულება შეფასებული და ეს ჩვენი ცოდვიტ სავსე ლარი თანდათან ხელში გვაკვდება, ადვილი წარმოსადგენია, ნატრიაშვილი, თუ მის საქმეს ოდესმე საშველი დაადგება, ანუ დაზარალებულად ცნობენ, საბოლოოდ რას მიიღებს. იმის მოლოდინიც ნამდვილად არ მაქვს, რომ ნატრიაშვილს ერთბაშად აუნაზღაურებენ ზიანს. საგარეოდ, თანხას განუნიღვადებენ, ანუ ნატრიაშვილმა თავისი მანქანის ფულით „სამაკატკა“ თუ მაინც იყიდა, მაღლობელი უნდა დარჩეს, მაგრამ ჩემს პრაქტიკაში ამაზე უარესი ფაქტიც მქონია...

— ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს? — „ჭირს მოგცემ, ჭირს დაგავინწყობო“ — მარიკა, ეს ანდაზა, ალბათ, გაგიგონია და სწორედ ასე გეჭირს ადვოკატებს: საქმე რომ შემოდის, ხანდახან ისეთ ამბავს მოიხმენ, გეგონება, ამაზე უარესი აღარაფერი მოხდება, მაგრამ მეორე დღეს ისეთ საოცრების მონმე გახდენ



„შენ – უკვედავების ჩამონადენი, მშენიერებას ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგე ღონისძიება

საქართველოში რა რეგულაცია ააშორებდა?

საქართველოში რა რეგულაცია ააშორებდა?

გი-12 გვერდიდან

ბი, გუშინდელი ამბავი თამაშად მოგეჩვენება. მოკლედ, თბილისში ერთი უბედური, მარტოხელა ახალგაზრდა ცხოვრობდა. ის უბედური მხოლოდ იმიტომ კი არ იყო, რომ ცხოვრება „ნაციონალების“ დროს მოუწია, არამედ, ნარკოტოქსიკოლოგიული გახლდათ! მართალია, მისი გვარის დასახელება არ შემოიღია, რადგან გარდაცვლილია და მისი სამართალმემკვიდრისგან არ მაქვს მონიჭებული შესაბამისი უფლება, მაგრამ შემოიღია, ის ამბავი გავახიზარო, რაც მას და მის ძალიან შეძლებულ მამას დამართეს, თუმცა, ვიდრე ამბის მოყოლას დავიწყებ, ვიტყვი, რომ საქართველოში, სამსუხაროლად, არაერთი ნარკომანი, მაგრამ „ნაციონალების“ სამიზნე ის ხდებოდა, ვისი ოჯახიდანაც სერიოზული „კუშის“ გამოსვლა იყო მოსალოდნელი. სწორედ ამ ნიშნით შეარჩიეს ის ახალგაზრდაც და, ერთ მშვენიერ დღეს, სწორედ იმ დროს დააკავეს, როცა ძალიან ძვირფასი ავტომანქანით მოძრაობდა... მანქანაში გამზადებული „ბაიანები“ ჩაუყარეს...

ელზა, თუკი ეს ახალგაზრდა ნარკომანი იყო, ნამდვილი, ჩადება? რაღაში დასჭირდათ?

– ნარკომანის ფაქტზე დაჭერა ძნელი, რა თქმა უნდა, არაა, მაგრამ ასეთ დროს ნამდვილი, ჩადებას სხვა მიზანი აქვს: მთავარია რაოდენობა, რათა ბრალდება და, შესაბამისად, ჯარიმის ოდენობა მძიმე და დიდი იყოს. ნამდვილი, ჩადება იმითაც დასტურდება, რომ ნარკოტიკი შპრიცებში იყო. არადა, ყველამ, ვინც იმ კაცს იცნობდა, იცოდა, ნემსის გაკეთების ეშინოდა და ნარკოტიკს სხვა გზით იღებდა. იმის მტკიცება, რომ ნამდვილი, ჩადება იყო, ძალიან ადვილი იქნებოდა ექსპერტიზით: ჯერ ერთი, დადასტურდებოდა, რომ შპრიცებზე არ იქნებოდა ბრალდებულის თითის კვალი და მეორე, ბრალდებულის სხეულზე ერთ ნაწილს სარსაც ვერ აღმოაჩენდნენ...

ექსპერტიზები ჩატარდა?

– იმ დროს, როდესაც თავის მართლების გზით ნასვლა სრულიად უპერსპექტივო იყო და ყველა „ჩათრევას“ „ჩაყოლას“ ამჯობინებდა, ექსპერტიზას ვინ ჩაატარებდა? ერთი სიტყვით, დააკავეს ნარკომანი „ფაქტით“, და მას შემდეგ ჩამოართვეს ძვირადღირებული ავტომანქანა, როგორც „დანაშაულის იარაღი“. სხვათა შორის, ასეთი ფაქტები დღესაც ხდება და ვერ გამიგია, ავტომანქანა რა შუაშია? – ნარკომანი, რომელსაც ჯიბეში „ფაქტი“ აქვს, მეტროში რომ გადაადგილდებოდეს, მეტროს ვაგონი განაჩენში უნდა მოვატარებო და „ჩამოვართვათ“? თუმცა, ეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ყველაზე ნაკლები უბედურებაა: იმ ბიჭს თბილისში ოჯახის წევრები არ ჰყავდა, მამამისი რუსეთში იყო, სადაც დიდი ხნისაა შპონდა. დააკავეს შემდეგ, ბრალდებულს მამასთან და დავითთან და ათქმევინეს, რომ გირაოს 50 000 აშშ დოლარის ექვივალენტს ღარი სჭირდებოდა. მამამ გირაოს გადახდაზე თანხმობა განაცხადა. ამის შემდეგ, კიდევ ერთხელ დაარეკინეს შვილს მილიონერ მამასთან და ათქმევინეს, ეს თანხა საკმარისი არაა, მე რომ მანქანა მყავდა, ოთხი ევრო მანქანის საყიდელი ფული დამჭირდებოდა. მოკლედ, გამოიძენა ახლომდებელი და სრულიად უქონელი სანდო კაცი, რომელიც გასსხა ანგარიში ერთ-ერთ ბანკში და მოსკოვიდან გადმოირიცხა ოთხი მანქანის საყიდელი თანხა. დაჯდა თუ არა ფული ანგარიშზე, „სამართალდაცელებმა“ ის კაცი მანქანაში ჩაისვეს, აყიდინეს ოთხი ძვირფასი ავტომანქანა და მასზევე ყველა სახელმწიფოსთვის აჩუქებინეს. ახლა მითხარით, რად უნდოდა ამ საქმის გამოძიებას ორწლიანი დანახვევარი?!

დღემდე იძიებენ?

– ამდენი ხანია, საჩივარი პროკურატურაში დევს, მაგრამ ჩვენთვის ჯერ ერთხელაც არავის დაუძახია!

სამოქალაქო წესით რომ გეჩივლა?

– სამოქალაქო წესით რომ იჩივლო, ჯერ ერთი, კოლოსალური ბაჟი უნდა გადაიხადო, რისი საშუალებაც ისედაც დაზარალებულ ხალხს არ აქვს. მეორეც, ისიც პრობლემაა, რომ ასეთ საქმეებს სამოქალაქო სასამართლოში პერსპექტივა არ გააჩნია, რადგან არსებობს ნივთის სახელმწიფოსთვის საკუთარი ნებით გადაცემის შესახებ დოკუმენტები. კანონით, როდესაც რაიმე სახის გარიგებას დადებ და აღმოაჩენ, რომ ეს გარიგება არ გაწყობს, ამის გასაჩივრება გარიგებაზე ხელმოწერიდან, მაქსიმუმ, ორი თვის განმავლობაში შესაძლებელია, ანუ იმ იძულებით დადებული „გარიგებების“ ბათილობის მოთხოვნის კანონით დადგენილი ვადა გასულა. თუ სანივთო სამართლის გზით ნავალი, შედავების ვადა არსებობს, მაგრამ სამოქალაქო სასამართლოს იმ გარიგების საპირწონედ ვერაფერს წარუდგენ – პროც-

ესზე სახელმწიფო მოხელე მოპასუხის სტატუსით მოვა და გეტყვი, რით ამტკიცებ, რომ გარიგება იძულებითაა დადებული. ხელისუფლებას ის მაინც რომ გაეკეთებინა, კანონში ცვლილება შეეტანა და პირდაპირ ეთქვა, რადგან ამა და ამ პერიოდში ხალხისთვის ქონების ჩამორთმევა მასობრივი ძალადობის გზით ხდებოდა, ამ პერიოდში უძრავ-მოძრავი ქონების შესახებ დადებული ყოველგვარი გარიგება ბათილია, საქმე გაიოლდებოდა და სამართლიანობაც აღდგებოდა. ეს არ მოხდა, რადგან ხელისუფლებამ ვერ გამოახა გზა, მათთვის, ვისი ბრალეული ქმედებებითაც ხალხი დაზარალდა, ზიანის ასანზალაურებად საქმე რომ თანხები გადაეხდებინებინა. ახლა კი, გამოდის, რომ ზიანის ანაზღაურების მოვალეობა სახელმწიფომ უნდა იკისროს. ამიტომ, ბიუჯეტის გაპარტახებისა ეწინააღმდეგება და დღესაც ეშინიათ. ეჭვი მაქვს, სამართლიანობის აღდგენის პროცესს ამდენ ხანს იმიტომაც იწელება – ესეინ ვარაუდობენ, არჩევნებს თუ წავაგებთ, იმას მაინც მოვიგებთ, რომ ამ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სხვა ხელისუფლების თავში სახლელი გახდებო. ერთი სიტყვით, სამოქალაქო წესით ასეთი დავების წამოწყება კიდევ უფრო უპერსპექტივაა, ვიდრე დავის სისხლის სამართლებრივი წესით განხილვაა. სწორედ ესაა, „გვის გავეყარე, ვუის შევეყარო“. დღეს ასეთი ფაქტის წინაშე ვდგავართ: გამოძიება თუ არ იტყვის, რომ ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ დოკუმენტები, რეალურად, იძულების გზითაა შექმნილი, ადამიანის დაზარალებულად ცნობა შეუძლებელია და სამოქალაქო სასამართლოშიც ასეთი დავა წაგებისთვისაა განწირული.

კიდევ ერთი საოცრება, რაც ამას წინათ, თამაშ ელიზბარაშვილმა მითხრა: როგორც იცით, როცა თამაში ბრალდებული იყო, ერთი ძვირადღირებული მანქანა სახელმწიფოსთვის აჩუქებინეს. როდესაც გამართლდა, ელიზბარაშვილი სამართლებრივი საფუძველი შეექმნა, ზიანის ანაზღაურება მოეთხოვა. რადგან ელიზბარაშვილმა იცის, რომ ეს ზიანი ბიუჯეტის ასანზალაურებად, ზიანის ოდენობად სიმბოლური თანხა – ერთი ლარი დაასახელა და პირველ ინსტანციაში პროცესი მოიგო კიდევ, მაგრამ მოპასუხე, ანუ ეკონომიკის სამინისტრო ამ გადაწყვეტილებას, თურმე, ასაჩივრებს! აბა, მითხარით, ამას რა შეიძლება დავაწეროთ, თუ არა ის, რომ ან ამ ხელისუფლებას არ უნდა სამართლიანობის აღდგენა, ან ეკონომიკის სამინისტროში ხელისუფლების დაუძინებელი მტრები ბუდობენ. ამ ხელისუფლებისთვის „ყელში დანის გამოსმის“ ასეთ „მამალ“ ფაქტს სხვაგვარ ლოგიკურ ახსნას ვერ ვუძენ! – მოკლედ, მანქანების ჩამორთმევა ფარული იძულებით ხდებოდა?

– ეს ფარული კი არა, აშკარა იძულება იყო, რაც რიგითი ჩინოსნების და სტაჟიორ-პროკურატორის ხელით ხორცილდებოდა, თუმცა ამ ძალადობის სათავეში, რა თქმა უნდა, ცნობილი „ბობოლები“ იდგნენ, ანუ დანაშაული ორგანიზებული იყო და დანაშაულებს მფარველები მალა ეშუალონებში ჰყავდათ. ყველაფერი ეს კი პირდაპირ ჯდება მაფიის, როგორც ასეთის, სამართლებრივ განმარტებაში.

ყველაფრის მიუხედავად, დღეს ვერავის ვერანაირ ბრალს ვერ უმტკიცებენ...

– დანაშაულები ხელისუფლების თუნდაც ის რიგითი წარმომადგენლები, რომლებიც იმ საეჭვო გარიგებებს ხელს აწერენ, ჯერ ერთი, არავის დაუკავებია და მეორეც, ეჭვი მაქვს, რომც დაუკავო, მათ, ვინც თავის ლეკვებს ხალხის მარცვა-გლეჯის დავალებას აძლევდა, თავცოცხალი არ ჩაუშვებენ. მაფიოზები ამ გზით, ანუ ერთმანეთის დაცვით საკუთარ თავსაც იცავენ.

– ისე, „ოცნება“ „ნაციონალების“ „ყფაჟ“ იმასთან დაკავშირებით, რომ, თითქოს ძველი ხელისუფლების წარმომადგენლების პოლიტიკური ნიშნით დევნა მიმდინარეობს, მგონი, მართლა დააშინა! – „სოლის მიღების“, ანუ მანქანების ჩამორთმევის სხვა ხერხებზე რას იტყვი, ელზა? – მანქანების იძულებით წართმევა ხალხის დაყაჩაღების ერთადერთი მეთოდი ნამდვილად არ გახლდათ – მანქანების სხვა, უფრო „დახვეწილი“ მეთოდით ჩამორთმევის ფაქტებიც ვიცი: ამ შემთხვევაში, დანაშაულში ჩართული იყვნენ უცხოეთში „მოღვაწე“, როგორც წეროლი-წერილი მაფიოზები, ასევე, საკარაუდოდ, საბაჟო, საგადასახადო და პოლიციის უწყებებიც... – მაგალითად? – ეს სქემა საკმაოდ გამართულად მუშაობდა და ჩვენს მოსახლეობას დიდი ზიანიც მიაყენა: ამ დანაშაულებრივი კარტელის ერთი ნაწილი უცხოეთში ეძებდა, პოულობდა და ნაღ-

ფულზე ურიგდებოდა ისეთ პირებს, ვისაც ნახმარი, თუმცა ჩვენი პარამეტრებით, პრაქტიკულად, ახალი მანქანის გამოცვლა სურდა. მოგეხსენებათ, უცხოეთში, დაზღვევის გარეშე, მანქანით ვერ ივლი. დაზღვეულ მანქანებს ნაღფულზე საკმაოდ სარფიანად ყიდულობდნენ მანქანების მაფიის წარმომადგენლები. სარფიანად იმიტომ, რომ უცხოელებმა, რომლებიც ასეთ გარიგებებში შედიოდნენ, მშვენივრად იცოდნენ, კანონს რომ არღვევდნენ და ამიტომ ცოტას და ნაღფს სჯერდებოდნენ. როგორც კი ამ გზით შეძენილი მანქანები ქვეყნის საზღვარს გადაკვეთდნენ, მესაკუთრეს ეცნობებოდა ეს ამბავი, ისიც მიდიოდა პოლიციაში და წერდა განცხადებას, რომ მანქანა მოპარეს. მანქანა, რა თქმა უნდა, საერთაშორისო ძებნაზე „ჯდებოდა“, „დაზარალებულს“ კი, სადაზღვევო კომპანია ზიანს უნაზღაურებდა, ანუ უცხოელი ყველა ვარიანტში მოგებული, თან კანონთან მართალი რჩებოდა.

ძებნილი მანქანები საზღვარზე როგორ შემოდის?

– საზღვარზე შემოსვლისას, ასეთ მანქანებს „მწვანე გზა“ ჰქონდათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მებაჟეები „ვერ ამჩნევდნენ“ ე.წ. „შასის“ გადაკეთებულ ნომრებს იმ დროს, როდესაც ამის შემომწვანა სულ ათწუთიანი პროცედურითაა შესაძლებელი: არსებობს ქიმიური ნივთიერება, რომელსაც გადასვამ, სადაც საქმეა და მასზე გამოწვანდება, ეს „შასის“ ნომერი გადაკეთებულია თუ არა. ასევე „ვერ ამჩნევდნენ“ გადაკეთებულ ციფრებს მანქანების განბაჟების დროს, ანუ შსს-ს მომსახურების სააგენტოში აღრიცხვაზე უპრობლემოდ დგებოდა ძებნილი მანქანები, ამ მანქანებზე გაიცემოდა ტექნიკური პასპორტები და ქართული სანომრე ნიშნები. ეს მანქანები პირველად, აუცილებლად, სანდო, ანუ მაფიის წევრ ხალხზე ყიდებოდა მანქანების ბაზრებაზე. შესაბამისად, ძებნილი მანქანებზე კვლავ უპრობლემოდ გაიცემოდა ახალი სანომრე ნიშნები. ეს იმისთვის ხდებოდა, რომ ბოლოს, ნამდვილად კეთილსინდისიერ შემქმნელ მანქანის წარმომავლობასთან დაკავშირებით ეჭვი არ გასჩნდებოდა.

როცა ხედავ, რომ მანქანა ქვეყანაში უპრობლემოდ შემოყვანილი და ორჯერ-სამჯერაა გაყიდული, აზრად არ მოგივა, რომ შესაძლებელია, მოპარული იყოს...

– დიას, ასეა. საბოლოოდ, როდესაც მანქანა უკვე ისეთ პირზე გაიყიდებოდა, ვისაც მაფიასთან კავშირი არ ჰქონდა, მასაც უპრობლემოდ უფორმებდა შსს-ს მომსახურების სააგენტო და ერთ-ერთ თვეს აცდიდა, რის შემდეგაც პირდაპირ, ქუჩაში აჩერებდნენ და პატიოსან მესაკუთრეს უცხადებდნენ, თქვენი მანქანა უცხოეთშია მოპარული, ძებნილია და უნდა ჩამოგართვათ.

ისინი, ვისაც მანქანებს ასე უნაშუსოდ ართმევდნენ, რას აკეთებდნენ?

– პრაქტიკულად, ვერაფერს – ძალიან კულტურულად და ზრდილობიანად მიჰყავდათ ექსპერტიზაზე, რათა საკუთარი თვლით ენახათ, თუ როგორ იყო ე.წ. „შასის“ ნომრები გადაკეთებული; ასევე, აჩვენებდნენ დოკუმენტს, რომ მანქანა მართლაც, ძებნილია. თუ ვინმე მაინც გაურჩებოდა, თვალის გადაბრიალებაც კი საკმარისი იყო პატიოსან, პოლიციასთან ურთიერთობაში გამოუცდელი ადამიანისთვის საიმედო, რომ ყველაფრისთვის თავი დაენებებინა, შინ ფეხით დაბრუნებულიყო და უკან აღარ მიეხედა. ასეთი ადამიანების უდიდესი ნაწილი ბედნიერად გახლდათ, რომ დაჭერას გადაარჩნენ.

ნუთუ, ერთიც არავინ ჩიოდა?

– ასეთი „გოი“ მხოლოდ თამაშ ელიზბარაშვილი ვიცი: თავი მოიკლა, ოთხი მანქანების ღირებულება დაახარჯა და ოთხი მანქანიდან მხოლოდ ერთი დაიბრუნა. სწორედ ეს არ აპატიეს და გამოგონილი ბრალდებით დაიჭირეს...

მეორე რატომ ვერ დაიბრუნა?

– ამას კიდევ სხვა მიზეზი ჰქონდა: ასეთ მანქანებთან დაკავშირებით შემოიღეს ისეთი რეგულაცია, რაც დაზარალებული, კეთილსინდისიერი შემქმნისთვის მანქანის დაბრუნებას ისევე არ გულისხმობდა, როგორც ეს, მაგალითად, სომხებმა გააკეთეს...

სომხებმა რა გააკეთეს?

– მოგეხსენებათ, იმხანად სომხეთში საქართველოდან ინტენსიურად გადიოდა (ყიდებოდა) ავტომანქანები. როდესაც მაფიოზების შემოქმნილი მოპარული მანქანები სომხეთში მყიდველების ხელში აღმოჩნდა, იქაც მოუხდომეს გაყვლა და ჩამორთმევა, მაგრამ სომხებმა შემოუთვალეს, ხომ არ „გემარავთ“, ჩვენ არ გვაინტერესებს, ძებნილია თუ არა ეგ მანქანები, ჩვენ ქართული სანომრე ნიშნებით ვიყიდებთ და ჩვენს ხალხს არ დაგაზარალებინებთ.

საქართველოში რა რეგულაცია ააშორებდა?

– კეთილსინდისიერ შემქმნებს თვალზე ააფარეს კანონი, რომლის თანახმადაც, ძებნილი ავტომანქანის აღმოჩენის შემთხვევაში, ავტომანქანის კანონიერ მესაკუთრეს, ანუ უცხოელს, ორი თვის ვადაში შეეძლო ჩამოსულიყო და მანქანა წაეღო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მანქანა სახელმწიფო საკუთრებად ცხადდებოდა.

მესაკუთრეები ჩამოდიოდნენ?

– ასეთი პრეცედენტი მხოლოდ თამაშ ელიზბარაშვილის ერთი მანქანაზე შემთხვევით მოხდა და მხოლოდ ერთი მანქანაზე ამ კაცმა სწორედ ამიტომ დაიბრუნა: როდესაც სადაზღვევო კომპანია „დაზარალებულს“ (ამ შემთხვევაში, უცხოელ მესაკუთრეს) ზიანს უნაზღაურებდა, იმ წუთიდან ავტომანქანაზე მოთხოვნის უფლება გააჩნია უკვე არა მესაკუთრეს, არამედ, – სადაზღვევო კომპანიას, ანუ მესაკუთრე „თამაშიდან გადის“. ელიზბარაშვილმა ორივე მანქანასთან დაკავშირებული სადაზღვევო კომპანია მოძებნა, მაგრამ საქართველოში მხოლოდ ერთის წარმომადგენელი ჩამოვიდა, ისიც – ელიზბარაშვილის დაყინებული თხოვნით.

მეორე რატომ არ ჩამოვიდა?

– რეალურად, არავის სჭირდებოდა და არავის უღირდა, ჯერ ერთი, ამხელა გზაზე და შემდეგ, საქართველოში „ნათლახუნები“ ძველი მანქანისთვის გზის ხარჯის გაღება და იმ მანქანის უკან წაყვანა. როგორც ვიცი, იმ სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელს, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა, გზის და აქცხოვრების ხარჯები ელიზბარაშვილმა დაუფარა, რადგან ელიზბარაშვილი პრინციპულად იცავდა, უკანონოდ ჩამორთმეული უნდა დაიბრუნებოდა. ჩამოვიდა ადამიანი ესპანეთიდან, ჩაიბარა ავტომანქანა და მიჰყიდა ელიზბარაშვილს, მაგრამ მანქანის გადაფორმების დროს, კიდევ ერთი პრობლემა წარმოიქმნა.

კერძოდ?

– როგორც გითხარით, მანქანა შემოტანილი და განბაჟებული გადაკეთებული „შასის“ ნომრებით ჰქონდათ. მას შემდეგ, რაც ძრავის რეალური ნომრები დადგინდა, დოკუმენტურად, გამოვიდა, რომ ეს მანქანა განბაჟებული არ იყო და ვერც განბაჟდებოდა, რადგან საბაჟოზე ეს ნომრები არსად ფიქსირდებოდა. გამოდიოდა, რომ მანქანა დე ფაქტო საქართველოში იყო, დე იურე კი, არ არსებობდა. მე და ელიზბარაშვილმა ვწერეთ და ვიკითხეთ. ბოლოს, ეს საქმე შემოსავლების სამსახურის დავების საბჭოს განვხილეთ, რომელმაც, თავი რომ მოვაბურთო, დაუშვა გამოხატვისი და შექმნა პრეცედენტი, რომელიც, ეჭვი მაქვს, არავის გამოუყენებია. ეს პირდაპირი ნიშნავს, რომ ის მოპარული, ძებნილი მანქანები, რომლებიც კეთილსინდისიერ შემქმნებს ჩამოერთვით და რომლებსაც უცხოელმა მესაკუთრეებმა ორი თვის ვადაში არ ჩამოაკითხეს, უცხოელის ებუღი რეგულაციის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა. აი, სწორედ ასეთი, ხალხის ფულით ნაყიდ, ნაძარცვ და ძებნილი შავ „ჯიბებზე“ იყო ამხედრებული „ნაციონალური“ ხელისუფლება, ასეთ საერთაშორისო მასშტაბის აფორიზმს ატრიალებდა, ასეთი სანდო და საიმედო კავშირები ჰქონდა უცხოელ აფორისტებთან და სწორედ ამიტომაც, დღეს „ნაციონალები“ ყველას ისევე თავის ჭკუაზე ატრიალებენ! თუ რამის თავი გვაქვს, ეს და ამის მსგავსი ათასი კიდევ სხვა ინტერ-დენაშაული უნდა გასკვდეს და „ნამსხვრევები“ თვალში იმ უცხოელებს უნდა შეეყაროთ, თავგამოდებულები რომ იფარავენ დანაშაულებს და ლამისაა, თავზე დაიხსნან!

რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, ძებნილია სიიდან მაინც პანტაპუნტით შლიან „ნაციონალებს“...

– ძებნილია სიაში ისინი იმიტომ არ მოხვედრილან, რომ „ნაციონალები“ იყვნენ. მათ მართ სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებები მყარი და დამაჯერებელი უნდა იყოს, რაც უპირობოდ ნიშნავს, რომ დადგენილია საბოლოოდ კანონიერ ძალაში შევა გამამტყუნებელი განაჩენები. ამ განაჩენებით მისჯილი სასჯელის ვადის ათვლა იმ წუთიდან დაიწყება, რა წუთშიც მსჯავრდებულებს სადამ დააკავებენ. თუ მთლად თავზე ტალახი არ დავისხით, იმდენი მაინც ხომ უნდა მოვახერხოთ, რომ ამ ხალხზე ძებნა საქართველოში არ გავაუქმოთ? ჰოდა, თუ სხვა საშუალო აღარაფერია, „მოჰკვლიათ დედები“ ან და მარადის, უკუნი-თი უკუნისამდე – ორბინონ საქართველოს გარშემო, რომელ ქვეყანაშიც უნდა იქ დაისვან თავზე და, ვისაც ვინ მოსწონს, უკლებლივ ყველა მშვიდობაში მოიხმარონ!

ესაუბრა მარტა კხახიძე

ლიტერატურა. წყაროები. კომენტარები

ზოგადი პოლიტიკური გაზეტი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“
კორნეი ლეონიძე

■ **წითელი წარსული**

ჰყავდა თუ არა ბრეჟნევის საყვარელი



„ლეონიდ ბრეჟნევის პირადი ტრაგედია“ — ამ სათაურით რუსულმა გამოცემა „ლენტა.რუ“-მ, ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერის, ანდრეი სავინისა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ვიქტორ დენინგაუსის სტატია გამოაქვეყნა, რომელიც სსრკ გენერალური მდივნის, ლეონიდ ბრეჟნევის შესახებ მოგვითხრობს და რომლის ქართული თარგმანიც პორტალმა „ფოსტალიონ“-მა გაავრცელა. სტატიაში, რომელსაც „ქართული სიტყვა“ უცვლელად გთავაზობთ, ლაპარაკია ბრეჟნევის მავნე ჩვევებზე, ასევე, იმაზე, თუ როგორ შეურყია ჯანმრთელობა პოლიტიკურმა კარიერამ და როგორ არ უნდოდა პენსიაზე გასვლა...

და მაინც: ახალგაზრდა ბრეჟნევის ჯანმრთელობაზე ბევრი რამ არ ვიცით. ცნობილია, რომ 1920-21 წლებში ტიფით ავადმყოფობდა, ეწეოდა მიმე ფიზიკურ შრომას (1931-35 წლებში დნეპროპეტროვსკის ქარხანაში ლუმელთან მუშაობდა). 1935 წელს, ჯარში გაინვიეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სამხედრო სამსახურისთვის ვარგისად ჩათვალეს. 5 წელი ომში იყო, დაიჭრა და კონტუზიაც ჰქონდა. 1951 წელს ინფარქტი მიიღო, თუმცა იმდროს საკმაოდ ახალგაზრდა იყო. მაშინ მოლდავეთის კომპარტიის ცეკას პირველი

მდივნის პოსტი ეკავა. როცა სკკპ ცეკას მდივანი გახდებოდა, კვლავ მიიღებს მიკროინფარქტს და ჰიპერტონული კრიზი დაემართება. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნაადრევი პრობლემების მიუხედავად, ბრეჟნევი აქტიურობით გამოირჩეოდა. მისი კარიერული წინსვლა სტალინის, შემდეგ კი, ხრუშჩოვის პერიოდში იმას ცხადყოფს, რომ ისინი მას მხოლოდ ლოიალობის კი არა, შრომისმოყვარეობის და მოკლე დროში რთული დავალებების ზედმიწევნით კარგად შესრულების უნარის გამოც აფასებდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს: საბჭოთა სისტემა ისე იყო მოწყობილი, რომ სახელმწიფოს პირველ პირთა ჯანმრთელობა გასაიდუმლოებული გახლდათ და მას პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომ, ბრეჟნევის ჯანმრთელობაზე როცა ვლაპარაკობთ, ძირითადად თვითონ ბრეჟნევის ჩანაწერებს ვეყრდნობით, რომელსაც სიცოცხლის ბოლო 40 წლის განმავლობაში აწარმოებდა. საერთოდ, ბრეჟნევი საკმაოდ პატივმოყვარე ადამიანი იყო, მაგრამ არა — თავის ჩანაწერებში, სადაც საკუთარ თავთან მართო რჩებოდა. ის არ წერდა პუბლიკისთვის, არ ჰყავდა სტენოგრაფისტი, როგორც ჰიტლერს და მოგონებებს მასავით „ისტორიისთვის“ არ ქმნიდა. ის თავის თავთან გულახდილი იყო. ეს დასკვნა მნიშვნელოვანია მისი ჩანაწერების ინტერპრეტაციისთვის — ჩანაწერები სანდოა.

— გამოდის, რომ მას შემდეგ, რაც 1937 წელს პარტიულ ელიტაში შევიდა, ბრეჟნევი კარიერას ჯანმრთელობა შესწირა?

— მისი მეუღლის, ვიქტორია პეტროვნას თქმით, სტალინმა ლეონიდ ილიას ძე თავისი გვარდიიდან სწორედ შრომისუნარიანობის გამო გამოარჩია. ვიქტორია პეტროვნა ხშირად იხსენებდა მუდმივ ღამის ზარებს იმ პერიოდში, როცა ბრეჟნევი, ომის შემდეგ, მეტალურგიული კომბინატების აღდგენაზე მუშაობდა. ის ქრონიკულად გამოუძინებელი იყო. თვეობით, წლობით არ შეეძლო განტვირთვა, მუდმივად ნერვული დაძაბულობის ქვეშ იმყოფებოდა.

მეტიც, ბრეჟნევი იძულებული იყო, თავი ჯანმრთელად მოეჩვენებინა, თუმცა მუშაობის ასეთი ტემპები ორგანიზმისთვის დამანგრეველი აღმოჩნდა. ძილის ნაკლებობა და ნერვიულობა ისიც ემატებოდა, რომ ძალიან ბევრს ეწეოდა.

პირადი მდივნის თქმით, ბრეჟნევი მოლდავეთში ქანცგანწყვეტამდე მუშაობდა, სამსახურში დილის 10 საათზე მიდიოდა და ღამის 3-4 საათამდე რჩებოდა. ასეთივე გრაფიკი ჰქონდა ყაზახეთში. ქრონიკული გამოუძინებლობის გამო, ხშირად კარგავდა გრძობას და საავადმყოფოში გადაჰყავდა.

ჩვეული სისუსტის გარდა, ბრეჟნევი თავის ჩანაწერებში ჯანმრთელობის უცაბედ გაუარესებაზეც წერს. მაგალითად, „აპრილი, 1959 წ. ა.ი.-მ საშინლად გამაბრაზა, მქონდა გულის შეტევა, მთელი დღე ცუდად ვიყავი“.

1964 წელს, ბრეჟნევი ქვეყნის სათავეში უკვე მთელი რიგი ავადმყოფობებითა და მავნე ჩვევებით დამძიმებული მოვიდა: მონევა, უძილობა, ნაკლებად მოძრავი ცხოვრების წესი, თუმცა კრემლში მუშაობის პირველ წლებში აქტიურ მუშაობას განაგრძობდა.

როცა იმაზე ვლაპარაკობთ, თუ რამდენად იმოქმედა კარიერამ მის ჯანმრთელობაზე, შეგვიძლია, ფიგურალურად ვთქვათ: ის რომ სოფლის ფოსტალიონი ყოფილიყო, მეტ ხანს იცოცხლებდა!


...არქივში, ბრეჟნევის პირად ფონდში პოლიტიბიუროს რამდენიმე დამგენილებაა. შუამდგომლობა სტალინის სახელზე დაწერილი, რათა ბრეჟნევისთვის ჯანმრთელობის გამო რიგგარეშე შევებულა მიეცათ. ეს ის პერიოდებია, როცა მან ინფარქტი მიიღო.

1953 წელს, 2-თვიანი შევებულებით გაუშვეს დასასვენებლად, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ამ პერიოდში მას ჯანმრთელობა უკვე საკმაოდ შერყეული ჰქონდა.

როგორც ცნობილია, სტალინი ღამით მუშაობდა და მთელი ქვეყანა, მთელი ელიტა — **გაგრძელება მე-15 გვ.**



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“
კარინა ლინჩი



საქართველო
საქართველო

საქართველო



რუსმა ისტორიკოსებმა საბჭოთა პელაგის დღიურები „გაშიფრეს“

ვია, რომ განსაკუთრებით სერიოზულ გად-
ანყვეტილებებს ბრეჟნევი სხვას არავის ან-
დობდა. ამის ერთ-ერთი მაგალითი ავღანე-
თია – გადანყვეტილება ყველასგან დამოუ-
კიდებლად მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ
მრავალთა აზრით, ეს კოლექტიური გადან-
ყვეტილება იყო, საბოლოო ინსტანცია მაი-
ნც ავადმყოფი ბრეჟნევი გახლდათ.
– როგორც ცნობილია, სიცოცხლის ბო-
ლოს მან პიროვნების ახალი კულტის აღზე-
ვება დაიწყო.
– სტალინის დროს, ბელადის ყოველი
გამოსახულება მტკიცდებოდა აპარატის
მიერ, გადიოდა ცენზურას. ბრეჟნევის პერ-
იოდში ტელევიზია განვითარდა, ეს კი
პროპაგანდის მშენიერი იარაღია, თუმცა
ერთია, როცა ქვეყნის მეთაური ტელევიზი-
ით წარსდგება, როგორც დენდი და სრულ-
იად სხვაა, როცა ყოველი საბჭოთა ოჯახი
თვალნათლივ ხედავდა დაბერებულ, უძლ-
ურ, ენადაბმულ ბრეჟნეს, ეს მისი ტრაგედი-
ა იყო და ამას ვერაფერს უხერხებდა. იძუ-
ლებული იყო, დასწრებოდა ყველა ამ სახა-
ლხო შეხვედრებს, ნაკითხა მრავალსაათი-
ანი (6 საათი) მოხსენებები და ამას ყველა
ხედავდა. ხედავდნენ, როგორ უშვებდა შე-
ცდომებს და ხვდებოდნენ, რომ ეს მხოლოდ
მისი კი არა, მთელი ქვეყნის ტრაგედია იყო.
და რაც მთავარია, ბრეჟნევის შერყეულ-
მა ჯანმრთელობამ, რომლის ტრანსლირებ-
აც ტელევიზიით ხდებოდა, მთელი საბჭოთა
ხელისუფლების დისკრედიტაცია მოახდი-
ნა და მოხუცების მთავრობად, გერონტოკ-
რატიად გადააქცია.
ცნობილია ასეთი სევედიანი ისტორია:
პოლიტიბუროს ერთ-ერთი წევრი ტუალე-
ტში გავიდა და უკან აღარ დაბრუნდა. რო-
ცა მას დაეცა მიაკითხა და კარები შეუმტ-
ვრია, აღმოჩნდა, რომ იქ, უბრალოდ, ჩაეძი-
ნა.
იგივე მედვედევის მონაყოლს გავიხსენ-
ებ: „პოლონეთში ჩვენი დელეგაცია მოლაპ-
არაკებებიდან რომ გამოვიდა, მივიხედე და
სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე,
ტიხონოვი რაღაც უხერხულად, დაშვებუ-
ლი მხრით ეცემოდა კიბუზე. დაგორდა და
კიბის ქვეშ ისევ გააგრძელა გორაობა, სან-
ამ გრომიკოს ფეხებთან არ მიგორდა. წავე-
დით, წავედით, არ მიიხედოთ! – სწრაფად
თქვა ბრეჟნევი“.
მედვედევს თქმით, თავად გრომიკოც
არ იყო უკეთეს ფორმაში. საბჭოთა საგარ-
ეო საქმეთა მინისტრი ერთ-ერთ ცერემონი-
აზე, როცა ბრეჟნეს მორიგ ოქროს მედა-
ლს გადასცემდნენ, ცუდად გახდა და ერთი
მხრიდან ანდროპოვმა მიაჭირა მხარი, მეო-
რე მხრიდან – ვილაძამ და ასე, ნახევრად
გულნასული გაიყვანეს დარბაზიდან.
კლიმენტ კორომილოვს მხოლოდ პირდ-
აპირ სიარული შეეძლო, გვერდით თუ გაუ-
ხვევდა, დაეცვას უნდა შემოეტრიალებინა,
თორემ წონასწორობას კარგავდა და ვარდ-
ებოდა.
ქვეყნის მესამე პირს, კირილენკოს ტვი-
ნის ატროფია დაეწყო. კოსიგინი მართლ-
ია, ძალიან უფრთხილდებოდა ჯანმრთელო-
ბას, მაგრამ 1976 წელს „ბაიადარკა“ გადაუ-
ტრიალდა და თავის ტვინში სისხლის მიმო-

80-14 გვირგვინი

ტა მასზე იყო ანკობილი: ყველა იჯდა და
ელოდა კრემლიდან ზარს. ასევე, იჯდა და
ელოდა ბრეჟნევიც. ასეთი რეჟიმი ჯანმრთ-
ელობისთვის საზიანოა. ამის დამამტკიცებ-
ელი დოკუმენტიც არსებობს. 1947 წელი,
ЦК ВКП(б)-ს დადგენილება „პარტიის და მთ-
ავრობის ხელმძღვანელი მუშაკების შრომი-
სა და დასვენების რეჟიმის შესახებ“: „პარ-
ტიისა და მთავრობის ხელმძღვანელ მუშაკ-
თა ჯანმრთელობის ანალიზმა აჩვენა, რომ
რიგ თანამდებობის პირებს, ახალგაზრდებ-
საც კი, აღმოაჩნდათ სერიოზული გულის,
სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის და-
ავადებები. ამის ერთ-ერთი მიზეზი დღის-
ით, ღამით და დღეისასნაულის დღიებშიც
კი, დაძაბული სამუშაო რეჟიმი“.
ამიტომ, ქვეყანაში შექმნილი იყო სპეც-
საავადმყოფოები, რომლებიც ხელმძღვან-
ელ ელიტას ემსახურებოდა. ბრეჟნესაც,
რა თქმა უნდა, ჰყავდა თავისი პირადი ექი-
მი, თუმცა ის საკმაოდ ურჩ პაციენტად ითვ-
ლებოდა.
1968 წელს, პრალის გაზაფხულის დროს,
ბრეჟნეს დღე და ღამე არ ეძინა. დიდი
რაოდენობით დამამშვიდებელი პრეპარატ-
ების მიღებამ გენმდივანზე უარყოფითად
მოქმედა და ჯანმრთელობა კიდევ უფრო
შეუწყია.
25 აგვისტოს, თათბირის დროს, ბრეჟნე-
ვს დიქტია მოეშალა, თავი სუსტად იგრძნო
და იძულებული გახდა, მაგიდაზე გადაწო-
ლილიყო.
გენმდივანმა, ყველას თვალწინ, ჰიპერ-
ტონული კრიზი მიიღო. მივიდნენ ექიმები,
სთხოვდნენ, წაყოლოდა, მაგრამ უარი გან-
უცხადა და დარჩა.
ამის შემდეგ, ბრეჟნევი უკვე ექიმებისა

და სამედიცინო პროცედურების გარეშე
აქტიურობას ვეღარ ინარჩუნებდა. ექიმებ-
ის თქმით, დიდი რაოდენობით საძილე საშ-
უალეებმა დეპრესია და მოდუნება გამოიწ-
ვია. მიუხედავად ამისა, 1970 წლამდე, პა-
რტიული ამხანაგებისთვის და საბჭოეთში
მცხოვრები ადამიანებისთვის ის მხნე და
ჯანმრთელი იყო. ხშირად საავადმყოფოდ-
ან მიდიოდა კრემლში. ამის შემდეგ კი, ისევ
უკან, პალატაში ბრუნდებოდა.
1974 წელი ბრეჟნევისთვის, როგორც
დამოუკიდებელი პოლიტიკოსისთვის, და-
ღმასვლის წელია. მას სულ უფრო იშვიათ-
ად ხედავდნენ კრემლში, ძირითად დროს
აგარაკზე ატარებდა. ყველა თათბირს ჩერ-
ნენკო ესწრებოდა და ძირითად გადანყვე-
ტილებებსაც ის იღებდა, თუმცა აღსანიშნა-

სტოკჰოლმი

იაპონური ენის უმსხავლეს კონკურსში ნინო მალანია გაიმარჯვა



საქართველოში, იაპონიის საელჩოს ეგ-
იდიტ, სტუდენტებისთვის იაპონური ენის
შემსწავლელი კონკურსი გაიმართა, რომელ-
შიც „თავისუფალი უნივერსიტეტის“ ბიზ-
ნესის სკოლის მეოთხე კურსის და აზიისა
და აფრიკის ინსტიტუტის იაპონური მიმა-
რთულების (მაინარი) მესამე კურსის სტუ-
დენტმა, ნინო მალანიამ გაიმარჯვა.
როგორც „ქართულმა სიტყვამ“ გაარკვე-
ია, ნინო მალანია 2015 შემოდგომაზე, იაპ-
ონიის ფონდის სრული დაფინანსებით, იაპ-
ონიაში, 2 კვირით გაემგზავრება.
„ქართულმა სიტყვამ“ ქართველ სტუდენტ-
ს გამარჯვებას ულოცავს და კიდევ არაე-
რთ წარმატებას უსურვებს.

ქვეყის დარღვევის გამო, კინაღამ დაიხრ-
წო.
მოკლედ, ამით ფონზე ბრეჟნევი ჯანმრ-
თელი იყო.
რაც შეეხება პირად ცხოვრებას, მკვეთ-
რი ხაზი ჰქონდა გავლენიანი ოჯახსა და სა-
მსახურს შორის. მეუღლე ვიქტორია ბავშვ-
ებს და სახლს უვლიდა. დაცვის წევრების
თქმით, მათ საკმაოდ თბილი ურთიერთობა
ჰქონდათ და პარალელურ სიყვარულზე წა-
რმოდგენა არც შეიძლება.
რაც შეეხება მანვე ჩვევებს და სასმელს,
მის ცხოვრებაში ალკოჰოლს დიდი ადგილი
არ ეჭირა. მასთან დაახლოებული პირების
თქმით, ბრეჟნეს სმა არ შეეძლო. ტრიუვიც
ჰქონდა: მსხვილშუშისანი ჭიქა, რომლითაც
შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს იმდენი-
ეს სვამდა, რამდენსაც სხვები.
თავგადაკლული მწველი იყო – ერთი
სიგარეტიდან მეორეს უკიდებდა. ძირითა-
დი მიზეზი მისი ამ მდგომარეობაში ყოფნის
სწორედ ასეთი უზომო მოწვევა გახლდათ.
პროტეზებიც აღარ უმაგრდებოდა, ისე ჰქ-
ონდა მონვეისგან ღრძილვი გალულული.
დღიურებში მრავალადაა ჩანანერი მისი
სტომატოლოგთან ვიზიტების შესახებ.
პროტეზები მისი მტკიცეული თემა
იყო. გერმანელებმაც ვერ უშველეს. არადა,
როგორ უნდოდა, ნორმალურად ელაპარა-
კა. მზად იყო, გერმანელი ექიმები ხელის
გულზე ეტარებინა.
ერთხელ, თავისი ნანადირევიც კი გაუგ-
ზავნა გფრ-ში. „თითო ტახი გაუგზავნეთ“ –
გასცა განკარგულება. მართლაც, გაყინეს
და გაუგზავნეს.
ექიმებმა დაარწმუნეს, რომ აუცილებე-
ლი იყო სიგარეტის რაოდენობის შემცირე-
ბა. მართლა ეცდილობდა, მაგრამ ამან აბე-
ზე დამოკიდებული გახდა. აბების გარეშე
ველარც ძილს ახერხებდა და ვერც – დამშვ-
ილებას.
მის დღიურებში მრავალადაა შენიღბუ-
ლი ჩანანერები, რომლებიც სსრკ „კა-გე-
ბე“-ს უფროსის მოადგილის, ცვიგუნის, ჩე-
რნენკოს, ანდროპოვის და სხვა მასთან დაა-
ხლოებული პირების მიერ მისთვის აბების
გადაცემას მოწმობს.
ჩანანერებიდან ჩანს, რომ ამ დამოკიდე-
ბულების თავად რცხვენოდა, თუმცა დღიურ-
ში რატომღაც სკურპულოზურად იწერ-
და ყველაფერს. „შეუკვეთე“, „მომიტანეს“.
ზოგჯერ დოზა არ ჰყოფდა და ყველაფე-
რს ერთად სვამდა. შეკრული წრიდან ველ-
არ აღწევდა და ეს უკვე მისი ტრაგედია გა-
ხდა. მეუღლის თქმით, სიკვდილის წინაც კი
მოითხოვა აბები, რადგან უამისოდ არსე-
ობა აღარ შეეძლო.
ის წარმოშობით დაბალი ფენიდან იყო.
იცოდა, რა არის მიმე ცხოვრება. თავისი
მდგომარეობის მიუხედავად, მთელი ცხოვ-
რება ეშინოდა მიღწეული სტატუსის დაკა-
რგვის, ბრწყინვალედ იცოდა ყველა ის პრი-
ვილეგია, რაც ხელისუფლების იერარქიას
ახლდა და ამას აფასებდა.
მთელ შემოსავალს, ბოლო კაპიკამდე აკ-
ონტროლებდა, რეგულარულად კითხულო-
ბდა თავისი პონორარების შესახებ, ფულს
ბანკში, შემნახველ ნიგნაკზე რიცხავდა თა-
ვის და მეუღლის სახელზე.
ვიქტორია პეტროვნას ხშირად უთქვა-
მს, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ღირდა
ვთქვავთ, პომიდორი. მისგან განსხვავებით,
ბრეჟნევი ყველაფერი იცოდა და თავისებ-
ურად ზრუნავდა და ფიქრობდა „პატარა
ადამიანზე“.
საბჭოთა ადამიანებმა ბრეჟნევის დროს
დაიწყეს ჩაქმა, შეიძინეს ბინები, საოჯახო
ტექნიკა, პირადი ავტომობილები, დაიწყეს
ნორმალურად კვება. ის პირველი იყო საბჭ-
ოთა ბელადებს შორის, რომელიც ხალხის
თევშს იმისთვის კი არ უყურებდა, რომ რამე
აელო, არამედ, იმისთვის, რომ ზედ რამე და-
ემატებინა. ბრეჟნევი ახორციელებდა „საბჭ-
ოთა ადამიანების კეთილდღეობის ზრდის“
პოლიტიკას. როგორ გგონიათ, რატომ აქვს
ხალხს ნოსტალგია საბჭოთა კავშირის მიმა-
რთ? მათ ხომ ლენინის, ან სტალინის პერიო-
დი არ ენატრებათ, არც ხრუშჩოვის. ეს არის
ნოსტალგია ბრეჟნევის ეპოქის – 1970 წლი-
დან მოყოლებული მის სიკვდილამდე.



საქართველო. საქართველო. საქართველო.

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“ კანონი

საზოგადოება

როგორ ხდება მშობლის უფლების ჩამორთმევა და აღდგენა

საოჯახო დავა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ბავშვებს ეხება, როგორც წესი, ძალიან რთულია და მოზარდის ფსიქიკაზეც უარყოფითად აისახება. მშობელი ვალდებულია, შვილის ინტერესები დაიცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მშობლის უფლებას ჩამორთმევენ. როგორ ხდება მშობლის უფლების ჩამორთმევა და აღდგენა? – ამ შეკითხვით „ქართულმა სიტყვამ“ სკოლა-ლიცეუმ „ცოდნის“ იურისტ მეგი ქარქუსაშვილს მიმართა, რომლის თქმითაც, ამ საკითხზე გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს: – მშობლის უფლების ჩამორთმევა უკიდურესი ზომაა და ასეთ დროს მშობელს შვილზე ყველა უფლება ერთმევა. – იმისთვის, რომ მშობელს მშობლის უფლება ჩამორთმევენ, რა მტკიცებულებები და დოკუმენტები საჭირო? – კანონის თანახმად, მშობელს ბავშვზე უფლება შეიძლება, მაშინ ჩამოერთვას, თუ სისტემატიურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობის შესრულებას და არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს. ამასთან, ბავშვს ექვევება უხეშად და ამორალური საქციელით (ქრონიკული ალკოჰოლიკი, ნარკომანი) მასზე უარყოფით გავლენას ახდენს.

– კანონი ითვალისწინებს თუ არა მშობლის უფლების ჩამორთმევის ისეთი მშობლებისთვის, რომლებიც შვილს მათხოვრობას აიძულებენ? – აღნიშნული ქმედება სისხლის სამართლის კანონმდებლობით ისჯება. – უფლების ჩამორთმევის შემდეგ, მშობელს შვილის ნახვა შეუძლია? – უფლება ჩამორთმეული მშობელს შვილზე ყველა უფლება-მოვალეობა, მათ შორის, ნახვის უფლებაც ერთმევა. – კანონი ალიმენტს დედებსაც აკისრებს? – სამოქალაქო კანონმდებლობით, ალიმენტის შვილის სასარგებლოდ გადახდა შეიძლება, დედასაც დაეკისროს. – აქვს თუ არა მშობელს უფლება, რომ შვილზე უარი ნებით თქვას? – ამ შემთხვევაში, მშობელს შვილის გაშვილება შეუძლია. – მშობლის ჩამორთმეული უფლების აღდგენა შესაძლებელია? – დიახ, მშობლის უფლების აღდგენა სასამართლოს წესით, ბავშვის ერთ-ერთი მშობლის, ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით შეიძლება.

პრაქტიკული რჩევები



ნოტარიუსი გვაფრთხილებს!

რა უნდა ვიცოდეთ ჩვენი უფლებების შესახებ, როცა ნოტარიუსთან ვართ? „ქართული სიტყვა“ იწყებს ახალ რუბრიკას – „ნოტარიუსი გვაფრთხილებს“. ყველა საჭირობორტო შეკითხვაზე პასუხს „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“ გაგვცემს.

რა უნდა ვიცოდეთ არასრულწლოვანთა უფლების, ქონების დასაცავად ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობლებისა და ახლობლების მხრიდან, კანონის არცოდნის, ან წინდაუხედაობის გამო, არასრულწლოვანი ქონების გარეშე რჩება, რასაც მოქალაქეები მხოლოდ არასასურველი შედეგის დადგომის შემდეგ აცნობიერებენ. მსგავსი პრობლემის წინაშე რომ არ აღმოვჩნდეთ, უნდა ვიცოდეთ: ● საქართველოს კანონმდებლობით, არასრულწლოვან 18 წლის ასაკამდე პირი მიიჩნევა. ● არასრულწლოვნის კუთვნილი ქონება, წილი შესაძლებელია, გაიყიდოს, იპოთეკით დაიტვიკროს, გაქირავდეს... ოღონდ, მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენლის (მშობელი, მშვილებელი, მზრუნველი) მონაწილეობით, ან თანხმობით. ● 15 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი გარიგებაში მონაწილეობს კანონიერი წარმომადგენლის საშუალებით, ანუ არასრულწლოვნის მაგივრად, ხელშეკრულებაზე ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი. ● 15-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანს აქვს უფლება, ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს, ოღონდ, მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით. **გარიგების საწარმოო წესით დაწესების უპირატესობა** როცა არასრულწლოვნის მონაწილეობით გარიგება საწარმოო წესით ფორმდება,

მსესხებელი ნასესხები თანხის დაბრუნების გარანტიად მოძრავ ნივთს იყენებს, იპოთეკით უზრუნველყოფისას კი – უძრავ ქონებას. კანონმდებლობა ხელშეკრულების საწარმოო წესით დამონმებას მხოლოდ იმ შემთხვევაში გვავალდებულებს, როცა ფიზიკურ პირებს შორის იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულება ფორმდება, თუმცა დანარჩენ შემთხვევებშიც, ნებისმიერი გარიგების საწარმოო წესით დამონმება მოსალოდნელი საფრთხეებისგან დაგიცავთ. ნოტარიუსი, როგორც მიუკერძოებელი მრჩეველი, ხელშეკრულების მონაწილე ყველა მხარის ინტერესებს თანაბრად ითვალისწინებს. ამასთან, ნოტარიუსი ხელშეკრულების საწარმოო წესით დამონმებისას, ვალდებულია: ● გადაამოწმოს წარდგენილი დოკუმენტები; ● დაადგინოს ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ვინაობა, უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა; ● განუმარტოს მათ საკუთარი უფლებები და მოვალეობები; ● ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე, წაუკითხოს და განუმარტოს ხელშეკრულების შინაარსი და დარწმუნდეს, რომ თითოეული მათგანი გარიგებას გაცნობიერებულად აწერს ხელს; ● გააფრთხილოს ისინი, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ვალდებულების შეუსრულებლობას.

სულიერება

შეიძლება თუ არა ზიარების წინ კბილების გახეხვა – შეკითხვები მოქალაქეებს

– მამაო, მართლმადიდებელი აუცილებლად მართლმადიდებელზე უნდა დაქორწინდეს? – მამა გიორგი (სანამაშვილი), სიონის ეკლესიის მოძღვარი: – ეს აუცილებელია, რადგან, როცა ადამიანი ოჯახის შექმნას გადაწყვეტს, კურთხევა ღმერთის უნდა სთხოვოს. კურთხევა კი, ეკლესიაში, ჯვრისწერით ხდება. არ შეიძლება, არამართლმადიდებელმა ჯვარი მართლმადიდებელზე დაინეროს, თუმცა ასეც ხშირად ხდება. ყველა ადამიანს თავისი მსოფლმხედველობა აქვს, მაგრამ, როცა საუბარი რელიგიას ეხება, ერთ ოჯახში ორი სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანის ცხოვრება რთულია. – შესაძლებელია თუ არა, იმ ქალ-ვაჟმა, რომელსაც ერთი ნათლია ჰყავს, იქორწინოს? – შესაძლებელია, რადგან ეს, ეკლესიურად, ნათესაური კავშირი არაა. – მანდილოსნებს ეკლესიაში შარვლით შესვლა რატომ ეკრძალებათ? – წმინდა წერილში წერია: „ნუ შეიმოსება დედაკაცი სამამაკაცი შესამოსელით, ნურც მამაკაცი – დედაკაცის შესამოსელით“. დღეს შარვალი მანდილოსნის ძალიან პრაქტიკული სამოსია და ეს არავის უკვირს. არც კატასტროფაა და არც – ტრაგედია, მაგრამ კარგი იქნება, თუკი ქალი ეკლესიაში შარვლით შესვლას მოერიდება. – მაკიაჟი ცოდვაა? – მაკიაჟი მიუღებელი იმიტომაცა, რომ სინამდისთან, მაგალითად, ხატთან მიახლოებისას უხერხულობას ქმნის. – ზიარების წინ კბილების გახეხვა რატომ არ შეიძლება? – ყოველად დაუშვებელია, რომ ადამიანი წმინდა ზიარებას მოუწესრიგებელი პირის ღრუთი მიეახლოს. კბილების გახეხვა მხოლოდ დაშვებული კი არა, აუცილებელიცაა. არ ვიცი, ასეთი შეხედულებები საიდან ჩნდება... – ყველა, ვინც ტაძარში დადის, მორწმუნეა? – ფორმალური მონაწილე არ არსებობს. როცა ინანიებს, ადამიანი გულწრფელი უნდა იყოს – აბა, აღსარება სხვაგვარად როგორ გამოვა?! ხშირად ადამიანი ეკლესიაში გაუცნობიერებლად დადის, მაგრამ ნელ-ნელა ნათლდება და იზრდება... – ყველა მოძღვარს ერთნაირი ტრადიციები აქვს? – არსებობს ეპარქიები და ეკლესიები, რომლებსაც თავიანთი ისტორიული ტრადიციები აქვთ. მაგალითად, ზოგი სახარებას ტაძარში კითხულობს, ზოგი – ტრაპეზზე, ზოგიც – ამბიონზე, მაგრამ ეს დარღვევა არაა. რაც შეეხება დოგმატურ სწავლებას, ის მსოფლიოს ყველა წმინდა ეკლესიისთვის ერთია. – სოციალურ ქსელებში წმინდა ხატების გამოქვეყნება ცოდვაა? – მიუღებელია, რადგან ხატის ადგილი ეკლესიასა და სახლშია. ისიც უმართებულად მიმანჩია, როცა ხატს საფულეში ინახავენ. – ბერებს რა ეკრძალებათ? – ბერობა, ზოგადად, მონაზობაა, რაც ცხოვრებიდან გასვლასა და განდევნილ მონაზონებს გულისხმობს. ბერი საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული, ცხადია, არ უნდა იყოს. ის, ვინც ამ გზას აირჩევს, არც დაოჯახებული უნდა იყოს, მაგრამ თუკი დაოჯახებულია, ოჯახს ტოვებს. – ადამიანს ბერად აღკვეცა რა ასაკში შეუძლია? – ეს რჯულის კანონითაა განსაზღვრული: დაიკვნად კურთხევა 25 წლამდე არ შეიძლება, მღვდლად – 30-ის, ეპისკოპოსად კი, – 35 წლის ასაკში. – ლგბტ პირს უფლება აქვს, რომ მოძღვარი გახდეს? – არა. – აღსარების ჩაბარება შეუძლია? – ეკლესიის საშველად ხელი ყველასთვის აქვს განვიდლი. – შეიძლება, სასულიერო პირი უნამართლო სიტყვებს იყენებდეს და მერე, ინანიებდეს? – ეს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება.





საქართველოს
საქართველო
საქართველო

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“
კარინა ლინაძე

■ ბლიტი

შეიშვენიერებოდა „ჩემი ცოლის დაქალების“ ვატოს ახალ სერიალში ვიხილავთ

მოუსვენარი ბავშვი ყოფილა, დღეს კი, „ეთიკისა და ესთეტიკის სამინისტროს“ თანამშრომელია. ისე, როგორც ჩინოვნიკს, ბოლომდე არ გაუმართლა — „მინისტრის მოადგილეობიდან“ დაქვეითდა... მოკლედ, ალბათ, მიხვდით: „ჩემი ცოლის დაქალების“ ვატოზე, რეალურ ცხოვრებაში კი, ნიკა ყოფილიყო გელაპარაკებით, რომელიც „ქართულ სიტყვას“ „გამოუტყდა“, რომ კარიერაში დამატებითი კომპონენტი აღმოაჩინა.



ნიკა ყიფშიძე: „მსახიობად დავიბადე!“

ნიკა ყიფშიძე: — ძალიან ცელქი ბავშვი ვიყავი და, როგორც ყველა ბავშვს, მშობლებიც მყავდა. აბა, ისე ხომ ვერ დავიბადებოდი? „დაჟე“, ბალშიც დავდიოდი... ისე, დაახლოებით, სამი სკოლა მაქვს გამოცვლილი.

— რატომ?

— ყოფაცქევის გამო — ძალიან კარგად ვსწავლობდი, თუმცა მოუსვენარი ტიპი ვიყავი და მშობლებს ხშირად იბარებდნენ. ეუბნებოდნენ, კარგად სწავლობს, გადასარევი, მაგრამ... ვიკინგი ბავშვივით ვიყავი — რალაცებს ვაფუჭებდი. მასსოვს, ერთ მასწავლებელს „კარაკულის შუბა“ ეცვა ხოლმე. ჰოდა, ხან ცეცხლს ვუკიდებდი... ხან რალაც „შტუკებს“ „ვაკეთებდი“... მერე იყო უნივერსიტეტი — თეატრალური დავამთავრე. ეგ არის და ეგ.

— მერე იყო „დასი“...

— ეს „რუსთავი 2“-ის პროექტი იყო. პროექტის დედაბერი, შეიძლება ითქვას, მასტროს რობერტ სტურუა გახლდათ.

— ნიკა, „ჩემი ცოლის დაქალებში“ როგორ მოხვდით?

— კასტინგით, ოღონდ თავდაპირველად ჩემს დამტკიცებას სხვა როლზე ფიქრობდნენ, მაგრამ ის როლი ტიპაჟურად არ მერგებოდა და კარგად, ალბათ, არც გამომივიდა... დამიმასხოვრეს და აი, ასე დამამტკიცეს ვატოს როლზე.

— ვატოს ნიკა ყიფშიძესთან კავშირი აქვს?

— იუმორი.

— შენი პირადი ვატოს პირადს ხომ არ ჰგავს?

— არანაირად.

— შეყვარებული გყავს?

— კი...

— ნიკა, როგორც ვიცის, ახლახან, GDS-ის ახალ პროექტზე დაგამტკიცეს, რომელიც სექტემბრიდან დაიწყება...

— ამ პროექტზე ლაპარაკი პროდიუსერებმა ცოტა ხანს ამიკრძალეს. ამიტომ, თავს შევიკავებ, თუმცა გეტყვით, რომ ეს სერიალია, სადაც მთავარი როლი მექნება.

— რაზე ოცნებობ?

— ოსკარზე. ვნახოთ, თუ გამომივა (იცინის).

— მსოფლიოში ცნობილ რომელ მსახიობთან ერთად გინდა თამაში?

— ჩემი აზრით, ყველაზე გამორჩეული მელ გიფსონია, ძალიან მიყვარს და დიდ პა-

ტივს ვცემ. ის მხოლოდ მსახიობი არაა, რეჟისორიცაა. საერთოდ, უნივერსალური ადამიანია. მელ გიფსონთან ერთად დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი.

— მსახიობობა შენი ბავშვობის ოცნებაა?

— ჩემთვის ოცნება წარმოუდგენელ რალაცაზე ფიქრია. ოცნებაა, ახლა, უცებ, ხუთასი მილიონი დოლარი რომ გაჩნდეს... თავიდანვე მსახიობი ვიყავი, ანუ ის მომენტი არ მქონია, გავიზრდები და მსახიობი უნდა გამოვიდეთ. ბავშვობიდან კი არ ვიცოდი, არამედ, მსახიობი დავიბადე! ბედნიერი ვარ, რომ იმას ვაკეთებ, რაც მიყვარს.

— დაოჯახებას აპირებ?

— შედის ჩემს გეგმებში... ისე, დაგეგმილი ცხოვრება არ მიყვარს.

— ანუ, ცხოვრების დინებას მიჰყვებით?

— შეიძლება, ფანატიკურად გამომივიდეს, მაგრამ უფალს ვენდობი იმიტომ, რომ მასთან კავშირს ვგრძნობ — ვგრძნობ, რომ ჩემსკენაა, ხელს მიმართავს. ეტყობა, ჩემს სიყვარულსაც გრძნობს.

— ამას რატომ ამბობ?

— თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში ძალიან ბევრი მსახიობია, მაგრამ სამწუხაროდ, 2%-იც არაა დასაქმებული.

— ანუ, გაგიმართლა?

— მხოლოდ გამართლება არაა. სამი მნიშვნელოვანი კომპონენტი არსებობს: 10 პროცენტი ნიჭი, 60 პროცენტი შრომა და 30 პროცენტი ილბალი. შეიძლება, იმდენს შრომობდე, რომ მოკვდე, დაიმარხო, მაგრამ იმ ადგილას ვერ აღმოჩნდე, სადაც ფორტუნა გელოდება. გამართლება ჩემთვის უფლის ნებასთან ასოცირდება, თორემ იცი, „გამართლება“ როგორი სიტყვაა? — აი, „კოჭი“ რომ „გააგორე“ და დუშაში მოგივიდა. მოკლედ, სადაცაა ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო.

საერთოდ, მაქსიმალისტი და ჩემი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი ვარ — მგონია, რომ მეტის გაკეთება შემიძლია. ბედნიერი ვარ, რომ ჩემში ის კომპონენტი აღმოვაჩინე, რასაც რეჟისორის გაგება ჰქვია — უნდა შეგეძლოს, რეჟისორს სწორად გაუგო... ყველა დუბლი ფულია, დროა. რეჟისორს უნდა, მსახიობმა ის, რასაც ეუბნება, მაქსიმალურად მალე აითვისოს...

■ საზოგადოება

ამბობენ, რომ ტანსაცმელი, განსაკუთრებით, საქორწინო კაბა, პირველი მფლობელის ენერგეტიკას ატარებს. შესაბამისად, არსებობს მოსაზრება, რომ პატარძალს აუცილებლად ახალი კაბა უნდა ეცვას, თუმცა მიუხედავად ამისა, თბილისში საქორწინო კაბების „გაქირავების ბუმი“... ამ მხრივ კი, საქორწინო სალონი „ზიზი“ ლიდერობს. „ქართული სიტყვა“ სალონის მენეჯერზე ზიზი ტატიშვილს ესაუბრა.

საქორწინო კაბების ბიზნესი — რა ჯდება ძირაოცა და ყიდვა

— ქალბატონო ზიზი, საქორწინო კაბებს სად კერავთ?

— იტალიური და თურქული მასალით, ადგილზე ვკერავთ, თუმცა იტალიური თუ ესპანური კაბებიც გვაქვს... იტალიური ქსოვილი ნატურალურია, მაგრამ მისგან შეკერილ კაბას ვერ გარეცხავ. საერთოდ, ევროპაში საქორწინო კაბა, ასე ვთქვათ, ერთჯერადია. საქართველოში კი, ვაქირავებთ. ამიტომ, როცა კაბას იტალიური ქსოვილისგან ვკერავთ, აუცილებლად უნდა გავყიდოთ. გასაქირავებელ კაბას კი, თურქული ქსოვილისგან ვკერავთ.

— აქსესუარებიც უცხოეთიდან ჩამოგაქვთ?

— დიახ...

— ტრადიციულ ქართულ კაბებსაც კერავთ?

— შეკვეთით...

— მოდით, ფასებზეც მითხარით...

— იტალიური კაბების გასაყიდი ფასი 1500-დან 2500 ლარამდეა. თუ უნდათ, რომ მთლად ახალი კაბა იქირაონ, მაშინ ფასი 600-700 ლარია. მეორე, მესამე გაქირავებაზე ფასი აკლდება. რაც უფრო ბევრჯერაა კაბა გაქირავებული, იაფდება.

ისე, ერთხელ, 4 500-ლარიანი კაბა მქონდა. ასეთ ძვირფას კაბებს, ძირითადად, უცხოელები ყიდულობენ. ქართველები უფრო ქირაობენ.

— გაქირავების მაქსიმალური ფასი რამდენია?

— კაბა შეიძლება, 1000 ლარადაც გაქირავდეს.

— კაბა რამდენჯერ ქირავდება?

— სამჯერ. ამის მერე, კაბა რაიონში მიმავს — იქ დაბალფასიანი კაბებზეა მოთხოვნა...

— თუ დამქირავებელმა კაბა დააზიანა, აჯარიმებთ?

— არა. კაბას ჩვენი ხარჯებით შევაკეთებთ...

— სადედოფლო კაბა რამდენი დღით ქირავდება?

— სამი.

— კონტრაქტის საფუძველზე?

— კლიენტს, უბრალოდ, პირადობის მოწმობას ვატოვებინებთ...

— კაბებს განაგებთაც „გასცემთ“?

— არა...

— ქალბატონო ზიზი, ლარის გაუფასურებამ თქვენს ბიზნესზე იმოქმედა?

— ლარის გაუფასურება ნებისმიერი ბიზნესისთვის კატასტროფაა, თუმცა ჩემს ბიზნესზე არ იმოქმედა, რადგან მაღაზიის ფართში ქირას არ ვიხდი... შემოსავალი შემიმცირდა, მაგრამ ვცდილობ, მომსახურება არ გავაძვირო... ისე, ქორწილებიც შემცირდა, თან თუ 4-5 წლის წინ, 400-კაციანი ქორწილს იხდიდნენ, ახლა, 100-კაციანი ქორწილიც „ძალიან მაგრად“ ითვლება...


— ასე ვთქვათ, სიძის ტანსაცმლის ხაზზე არ გიფიქრია?

— კოსტუმის გაქირავებაზე თავიდან ვფიქრობდი, მაგრამ ბიჭი რომ დათვრება, არ უფრთხილდება და... ქსოვილი ქიმნშენდას აღარ ექვემდებარება...

ესაუბრა სალონი ხუნაშვილი



ესაუბრა სალონი ხუნაშვილი



საქართველო
საქართველო

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“
კონსტანტინე

არა-ჩვეულებრივი გვირდი

**„პარმული სიყვარულის“
საიდუმლო**

გვერათ რომეოსა და ჯულიეტას ლამაზი ამბის, ან გიფიქრიათ, რეალურ ცხოვრებაში რამდენად კარგი წყვილი იქნებოდა? – ამ შეკითხვებს „ასტროლოგი. გე“ სვამს და ე.წ. კარმულ კავშირზე სტატისტიკა აქვეყნებს, რომელსაც „ქართული სიტყვა“ უცვლელად გთავაზობთ:

„თუკი ასტროლოგიური გადმოსახედიდან ვიმსჯელებთ, რომეოსა და ჯულიეტას სტილის „ლაჯ სთორი“, დიასაც, კარმული ურთიერთობების მოდელია. კარმული ურთიერთობას კი, ადგილი ძალიან ხშირად და ბევრი ჩვენგანის ცხოვრებაში აქვს, ან ჰქონია, თუმცა ადამიანები, როგორც წესი, ყოველთვის გაურბიან სირთულეებს, ურჩევნიათ, თავი გაცილებით უპრობლემო და კომფორტულ პარტნიორს შეაფარონ, რომელთანაც ემოცია ნაკლებია, სამაგიეროდ, დისკომფორტიც ნაკლებად შეაწუხებთ...“

ოდესმე თქვენს ცხოვრებაში მომხდარა ისე, რომ ვინმე დანახვისთანავე, ერთი ნახვით შეგყვარებიათ, ან გიფიქრიათ, რომ ეს ის არის, ძალიან ნაცნობი, ახლოებული და „ძალიან შენი“? – თუ – კი, მაშინ მოგილოცავთ: კარმული კავშირის „მსხვერპლთა“ სიაში ღირსეული ადგილი გიკავიათ... კარმული კავშირი კი, სხვა არაფერია, თუ არა ერთ დროს მეორე ნახვევების ხელმეორე შესხვედრა, სხვა სივრცესა და განზომილებაში.

მიჩნეულია, რომ ასეთი ადამიანები ოდესღაც, მართლაც, წყვილები იყვნენ და ამ ცხოვრებაში მათი ხელახალი შესხვედრის მიზეზი, წარსული ინკარნაციიდან გადმოყოლილი პრობლემების დაბალანსება-მოგვარებაა, თუმცა, სამწუხაროდ, როგორც წესი, პრობლემები პრობლემებად რჩება და ის, ვინც ჩვენდა უნებურად ტკივილს გვაყენებს, გვაიძულებს, საკუთარ თავს გადავაბიჯოთ და ტრანსფორმირდეთ, როგორც წესი, აუცილებლად გაქცევისკენაც გვიბიძგებს...“

მხოლოდ ერთეულთა ხვედრია, გაუძლოს, განვიტარდეს, გარდაისახოს და იქცეს უკეთეს პარტნიორად საკუთარი მეორე ნახვევებისთვის, რომელიც სწორედ ამ ტრანსფორმაციის მოსახდენად მოვიდა თქვენს ცხოვრებაში.


ძალიან ბევრი ასტროლოგის პრაქტიკაში ვხვდებით ისტორიებს, როცა სრულიად განონანსორებულ, ბედნიერი ოჯახური ცხოვრებით კმაყოფილ მამაკაცს, ერთ მშვენიერ დღეს, ყველაფერი მიუტოვებია და უკან გაპყლია ქალს, რომელიც თითქოს არაფრით ყოფილა გამორჩეული...“

უნდა გვახსოვდეს, რომ კარმული კავშირები ორგვარია: ერთი დამანგრეველი (განკურნების ეფექტით) – მაშინ, როცა პარტნიორის ზეგავლენა ჩვენს პიროვნულ ზრდას ტკივილისა და სტრესის ხარჯზე იწვევს და მეორე, განმკურნებელი – სამყარო საჩუქრად გვიგზავნის ადამიანს, რომელთანაც ურთიერთობა, წარსულ ინკარნაციაში, რიგი მიზეზების გამო, შეწყდა, ან ბოლომდე არ მივიდა.

აქედან რთული პირველი ვარიანტია, როცა პარტნიორი ჩვენს ცხოვრებაში მოდის წარსულის სასჯელად... ასეთ დროს ორი გზა გვაქვს: ან მივილოთ, ვაპატიოთ და გავუგოთ. ვცადოთ მასთან კომპრომისის ენაზე საუბარი, რაც თავისთავად, საკუთარი თავის ახლებურად ხედვას ითვალისწინებს, ან გავექცეთ ამ პრობლემატურ კავშირს (რასაც, უმეტეს შემთხვევაში, ადამიანები აკეთებენ და ამას „ხასიათის შეუთავსებლობას“ უწოდებენ) და თავი გაცილებით უფრო მშვიდ და უპრობლემო პარტნიორს შევაფაროთ, მაგრამ ამ დროს არ გვახსოვს ერთი უმნიშვნელოვანესი კანონზომიერება: ის, რომ ამქვეყნად ყველაფერს თავისი საფასური აქვს, რომელსაც გადახდა უნდა.

შესაბამისად, კარმული კავშირი, რომელსაც „დროებითი სიმშვიდის“ მოპოვების მიზნით გავექცევით, მომავალში გაცილებით უფრო რთული პარტნიორის გამოჩენას გვამცნობს.

ჰოდა, დაფიქრდით: ღირს ვალის გადავადება?



50 წლის სანდრა ბალოკი მსოფლიოს ულაგაზის ძალად აღიარეს

მსოფლიოში გავლენიანმა ჟურნალმა People-მა 2015 წლის ულაგაზის ძალად 50 წლის ჰოლივუდელი სანდრა ბალოკი დაასახელა. ამასთან, ჟურნალი სანდრას „ნამდვილსა და ბრწყინვალეს“ უწოდებს.

„მართალია, ბალოკის სილამაზე ფართოდ მიღებული ჩარჩოებში არ ჯდება, მაგრამ კინოკარიერის 30 წლის განმავლობაში, უცვლელია“, – წერს გამოცემა.

„ჩემს თავს სერიოზულობით არასდროს ვეკიდები და როცა ჟურნალის გადამწყვეტილების შესახებ შევიტყვე, ძალიან ბევრი ვიცინე“, – ამბობს მსახიობი.

ალსანიშნავია, რომ შარშან გამოცემაში სანდრას ყველაზე წარმატებული მსახიობის წოდება მიანიჭა.



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებას სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

კარინა ლინჩი

ლექსიკონი.
საქართველო. ქოლექტივი

არა-ჩვეულებრივი გვირდი



მსოფლიოს გავლენიანი დიაცი 34 წლის კიზ პარდაშიანი

ერთ-ერთმა ამერიკულმა ჟურნალმა, სომხური წარმოშობის კიზ პარდაშიანი, რომელმაც სახელი ტელეწამყვანობით გაითქვა, მსოფლიოს ყველაზე გავლენიან დიაცად დაასახელა. ჟურნალმა ასეთი გადაწყვეტილება, როგორც ირკვევა, კიზის საქველმოქმედო საქმიანობის გამო მიიღო – პარდაშიანი ლოს-ანჯელესის ბავშვთა ჰოსპიტალს ეხმარება: რეგულარულად ყიდის ნივთებს, რომლებიც ოფიციალურ ლონისძიებებზე ამშვენებდა. უკანასკნელი გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი კიზმა საერთაშორისო სამედიცინო კორპორაციების ფონდს გადაურიცხა, რომელიც ფილიპინებში სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულებს ეხმარება.



ქეთა თოფურიამ სცენა გიატოვა

რამდენიმე დღის წინ, „ა სტუდიოს“ ქართველმა სოლისტმა, 28 წლის ქეთა თოფურიამ, მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში, ბოლო კონცერტი გამართა, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის სცენიდან სამუდამოდ წავიდა. უბრალოდ, ქართველი მომღერალი მალე დედა გახდება – 7 თვის ორსულია.

„ჩემი შვილის სქესი ვიცი, თუმცა არ გავამხელ“, – ჩვეული სიხალისით ამბობს თოფურია და დასძენს, – „ამიერიდან შვებულებაში ვარ და გადატვირთული საკონცერტო ტურნეებისგან რამდენიმე თვე დავისვენებ“.

სხვათა შორის, ვიდრე მუცელი არ დაეცე, მომღერალს მინიშნებაც კი არ გაუკეთებია, რომ ფეხმძიმედ იყო. ასევე, აღსანიშნავია, რომ ქეთა თოფურია ძიძის აყვანას არ აპირებს.

„ჩემს შვილს მე გავზრდი!“ – ამტკიცებს მომღერალი.

ჩინეთში „ძალღვის ქორწილი“ გაიმართა

ამას წინათ, ჩინეთის დედაქალაქ პეკინის მოსახლეობა უჩვეულო სანახაობის მოწმე გახდა – ქალაქის ერთ-ერთ პარკში 21 წყვილი ძალღვი „დაქორწინდა“. „მასობრივ ქორწილში“ მხოლოდ ოთხფეხების პატრონები კი არა, საპატ-იო სტუმრებიც იმყოფებოდნენ.

„საპატარძლოები“, რომლებსაც, ნამდვილი პატარძლებივით, თეთრი კაბები ემოსათ, „საკურთხეველამდე“ სპორტული კაბრიოლეტებითა და ლიმუზინებით მიიყვანეს. სიძეები კი, პიჯაკებში იყვნენ „გამოწყობილი“.

„ხელისმონერა“ საქორწინო მარშის ფონზე შედგა, რის შემდეგაც, ძალღვიების მფლობელებს „ქორწინების მონაშობები“ გადასცეს.

„ეს ცერემონია მხოლოდ ძალღვიების მიმართ სიყვარულს კი არ გამოხატავს, არამედ შინაური ცხოველების პატრონებისთვის მომსახურების ინდუსტრიის განვითარების დაჩქარებასაც ემსახურება – გვინდა, ძალღვიების საზოგადოებრივი ცხოვრება გავაუმჯობესოთ და მივცეთ შესაძლებლობა, რომ მათ მიმართ შესაფერისი დამოკიდებულებით დატკბნენ“, – განაცხადა „მასობრივი ქორწილის“ ერთ-ერთმა ინიციატორმა.

სხვათა შორის, ჩინეთი პირველი ქვეყანა არაა, სადაც „ძალღვიების ქორწინება“ შედგა. მსგავსი ცერემონია გასულ წელს პერუშიც გაიმართა. უფრო ადრე კი, შრი-ლანკაში ძალღვიების ცხრა წყვილი დაქორწინდა.

ყველაზე „ჩაკატილი“ ამერიკელი მომღერალი თხოვდება

ნიკი მინაჟი ეპატაჟური ამერიკელი მომღერალია, რომელიც მალე გათხოვდება – მისი რჩეული მიკი მილანია. წყვილმა ერთმანეთი ორი თვის წინ გაიცნო და, მიუხედავად იმისა, რომ ნიკისა და მიკის ურთიერთობის „გასერიოზულებას“ თითქმის არაფერი ელოდა, ქალმა სოციალურ ქსელში ქორწინების ბეჭედი გამოაქვეყნა.

საერთოდ, ნიკი მინაჟი, როგორც ამერიკელი ჟურნალისტები ამბობენ, ერთ-ერთი ყველაზე „დახურული“ რესპონდენტია, ანუ პირად ცხოვრებაზე ღიად არასოდეს ლაპარაკობს, თუმცა შარშან მომღერალმა თქვა, რომ ათი წელი საფარი სემიუელსზე იყო დანიშნული, რომელსაც დაშორდა.

შენ გაუზანავი...

ალარ მინდა ცაზე ღრუბლის დანახვა, არმად წვიმს და არმად თოვს, შენ ღირსება შელახული არა ხარ. შენ ღირსება არ გქონია არასდროს.

სიყვარული და სიძულვილი

დაიბადა კურდღლადა თუ ვირთხადა თუ ვეშაპად, ღმერთმა მოგცა სიყვარული, სიძულვილი – ეშმაკმა. ნუ იქნები ერთადერთი, სიძულვილით მზე ჩაქრა, ვირიშვილო, მამალმერთი განასხვავე ეშმასგან!

ტყვია

ვარდი ისე შეიყვარეს, ალარ უყვარს ბევრს ტყვია, წამლის ფულიც ალარა მაქვს, ესეც შენი პენსია, ქვეყნად კაი კაცის მოკვლა ადათი და წესია, სიბერეში ამ ჩემს ნაგრამს მივანოდებ ჩემს სიას, ყაჩაღებში ვცხოვრობ, მაგრამ ტყვიასაც ვერ მესვრიან. ნეტა, იმას, რას მოიძვის, რაც არ დაუთესია.

ბინება

რადგან უფალმა ინება, შეჩერდი, ღამეც, ტიალო, მე მომწონს ერთი გინება – „შე ჩემის თვრამეტეიანო“!

ბაძცეულ „ნაციონალს“

დაიკელი ზომა-წონაში? – ადრე შენი დრო იყო, სად ცხოვრობ, რომელ ზონაში, რომელ სივრცეში, ბრეიყო?! ვილაც უფერება ობამას, ვილაც სამშობლოს კარგავს. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, შენ ხომ სამშობლო არ გაქვს!



გვინეთ პელტროუს ოჯახი დაეწარა

პოლივედელმა გვინეთ პელტროუმ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელიც მალე „თავისუფლებას“ მოუტანს, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, მსახიობი მეუღლეს, ვოკალისტ კრის მარტინს სცილდება. როგორც პოლივედში ამბობენ, ვარსკვლავური ოჯახის დანგრევის მიზეზი პირადი უთანხმოებაა, თუმცა ბულვარული მედიის ცნობით, ყოფილი წყვილი შეთანხმდა, რომ მეგობრად დარჩება. ამასთან, 280 მილიონად შეფასებულ ქონებასაც თანაბრად გაიყოფს. „გვინეთი და კრისი შვილებზეც ერთდროულად იზრუნებენ“, – წერენ პოლივედური ტაბლოიდები. ცნობისთვის: პელტროუმ და მარტინმა 2003 წლის დეკემბერში იქორწინეს.



თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ყოფილი „არამიანცის“) ეივლები – „ეპერჯენსი“



დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024



9 772298 002004

4 7 9 2 2

მთავარი რედაქტორი: ჯანსუღ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიანი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თამარ გოცაძე, ეზარ კვიციანი,
არმან სანუაშვილი.

მედია-ჯგუფი: მერიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძელი,
ნათია ლეზანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორექსორდენტი:
ზურა მებრეღვიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეპროდუქციის უფლების დაცვით (საბალანსაბლო ინსაიტის) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulicityva@gmail.com

გაზეთი მომზადდა თბილისის რეპროდუქციის ცენტრში